

კულტურული მემკვიდრეობის მუზეუმი



K 51.750/3

51. 750

3

კავკა გვარევიტი

ეკონომიკური გერმანო-ლიტვის  
ეპ

გეგმის კულტურული თარიღის სათვის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა ეკადემიის

ეპთა გეგამიძი

ექონომიკური გერმინოლოგის

ეს

მაცნიერებელი თარგმანისათვის

K 51.750  
3



საქართველოს სსრ მეცნიერებათა ეკად. გამომსახლება  
თბილისი—1952

1. ස්වභාව්‍ය තුන අධ්‍යාපනය.
2. මූල්‍ය තුන අධ්‍යාපනය.

රුදාස්ථාන

ඩාජ්. එස්. මේලුන. ආචාරු. නාමයුගිලි ජ්‍යෙෂ්ඨ  
 ජාලැනුව, ඩා. ඩී. අභ්‍යන්තරයාලය

6303-2000

308098843201

## ც ა რ ჩ 0 3 0

წინასიტყვაობა	გვ.
1. მეცნიერული ტერმინი და მთარგმნელობითი ხელოვნება . . . . .	5
2. რუსულ-ქართულის ურთიერთობისათვის . . . . .	9
3. ილ. ჭავჭავაძე და მეცნიერული ტერმინოლოგია . . . . .	13
4. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ობიექტების თარგმნის როლი ქართული ტერმინოლოგიის განვითარებაში . . . . .	23
5. „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“-ს რუსული გამოცემები . . . . .	30
6. „მანიფესტის“ ქართული თარგმანები . . . . .	40
7. მეცნიერული თარგმანისათვის . . . . .	46
8. ეკონომიკური და ეკონომიკური . . . . .	55
9. წარმოება და მისგან წარმოებული ტერმინები . . . . .	64
10. წარმოება და აღწარმოება . . . . .	73
11. თავსართ სა-ს შესახებ . . . . .	86
12. ანგარიში, ანგარიშგება, ანგარიშსწორება . . . . .	92
	96—104

## ჭ ი ნ ა ს ი ტ ჟ ვ ა რ ბ ა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტმა და ენის ისტიტუტმა 1947 წ. გამოაქვეყნეს „ეკონომიკის ტერმინოლოგია“ (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული).

„ეკონომიკის ტერმინოლოგიამ“, როგორც ცნობილია, დიდი დავა გამოიწვია. ორჯერ მოეწყო მისი საჯარო განხილვა. დისკუსიაში (1948 წ.) 30-მდე კაცმა მიიღო მონაწილეობა. ესენი იყვნენ სწავლული ეკონომისტები, ფილოლოგები, ისტორიკოსები, იურისტები, სხვადასხვა უწყებათა და საწარმოთა თანამშრომლები — სახალხო მეურნეობის პრაქტიკოსი მუშაკები. ამას გარდა ქართულ და რუსულ პრესაში „ეკონომიკის ტერმინოლოგიაზე“ გამოქვეყნდა რეცენზიები.

დისკუსიამ დიდი დახმარება გაუწია „ეკონომიკის ტერმინოლოგიის“ შემდგენელთ, რათა მეორე გამოცემის სახით მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული წიგნი წარუდგინონ მკითხველ საზოგადოებრივობას.

მიღებულ გამოცდილებათა ნაწილის ერთგვარი განჩინებისა და ამასთანავე „ეკონომიკის ტერმინოლოგიის“ მეორე გამოცემის სამზადისში სპეციალისტთაგან შეტი შენიშვნების მიღების მიზნით ამ სტრიქონების ავტორი, როგორც „ეკო-

ნომ. ტერმინოლოგიის“ ერთ-ერთი შემდგენელთაგანი, 1950 წ.  
მოხსენებით გამოვიდა ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო  
სესიაზე და ეკონომიკის პროფესორ-ლექტორთა მუდმივმო-  
ქმედ რესპუბლიკურ სემინარზე. ეს მოხსენება, რამდენადმე  
გაფართოვებული სახით წარმოდგენილია ამ წიგნაკში.

ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის საკითხებზე  
მუშაობამ ჩვენ, ბუნებრივად, მთარგმნელობითი ხელოვნების,  
კერძოდ, მეცნიერული თარგმანის საკითხებამდე მიგვიყვანა.  
როგორც პირველი, ისე მეორე იმდენად რთული და მრავალ-  
წახნაგოვანი პრობლემაა, რომ მათი შესწავლა ამ სფეროში  
მომზადებული მრავალრიცხოვანი კოლექტივის შრომას მოით-  
ხოვს.

ქართულ მთარგმნელობით ხელოვნებას და მეცნიერულ  
ტერმინოლოგიას ათასხუთასი წლის ისტორია და მრავალ-  
მხრივ საყურადღებო, დიდებული, ტრადიცია აქვს. ქართული  
მეცნიერული ტერმინოლოგია და მთარგმნელობითი ხელოვნე-  
ბა განსაკუთრებით განვითარდა საბჭოთა პერიოდში.

მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ დღემდე არა  
გვაქვს არც ერთი საფუძვლიანი სპეციალური გამოკვლევა  
მთარგმნელობითი ხელოვნების ისტორიისა და განსაკუთ-  
რებით თეორიის შესახებ, რასაც, ცხადია, დიდი დახმარების  
გაწევა შეიძლო, კერძოდ, მეცნიერული ტერმინოლოგიის  
დარგშიაც.

უკანასკნელ ხანებში მთელ საბჭოთა კავშირში დიდად  
გაცხოველდა ყურადღება ამ საკითხებისადმი; იმართება დის-  
კუსიები, თათბირები, —უპირატესად მხატვრული თარგმანის  
საკითხებზე, თუმცა მეცნიერული, კერძოდ, პოლიტიკური ლი-  
ტერატურის მთარგმნელობითი ხელოვნების დარგში არსებული  
გამოცდილების განზოგადება-გაზიარების შესახებაც ბევრი  
იწერება.

ჭინამდებარე ჭიგნაკში მოთავსებულ მასალებს ვაქცეფ-  
ნებთ იმ იმედით, რომ იგი, ცოტაოდნავ მაინც, ხელს უშე-  
უწყობს ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიისა და მთარგ-  
მნელობითი ხელოვნების სპეციალისტთა შორის აზრთა გაცვ-  
ლისა და, მაშასადამე, გამოცდილებათა ურთიერთგაზიარების  
საქმეს.

პ. გუგუშვილი

1951. XII. 20.  
მოსკოვი

1. ჩვეულებრივ მეცნიერული ტერმინი, რომელიც ამა თუ იმ თვალსაზრისით დავას იწვევს, უმთავრესად ნათარგმნ ლი-ტერატურაში მიღებულ, ე. ი. უცხოურ ენებზე წარმოქმნილ ტერმინთა გადმოღების ან ადეკვატურის შექმნის გზით ჩნდება. თვით მოცემული ენის (ნაციონალურ) სინამდვილეში წარმოშობილი ტერმინები, ცხადია, ნაკლებად ხდებიან სადაცონი, განსაკუთრებით ტერმინისა და მასში მოქცეული ცნების აზრობლივი შესაბამისობის თვალსაზრისით, რაც ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს.

ამიტომ მუნებრივია, რომ ჩვენი მსჯელობა ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების-საკითხით უნდა დაიიწყოს. მაგრამ ეს ჯერჯერობით თითქმის ხელუხლებელი თემაა და სპეციალისტის კალამს მოითხოვს. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი მასალისა და მოსაზრების წამოყენებით ეისაზღვრებით, რამდენადც ეს აუცილებელია, კერძოდ, რამდენიმე საღავო ქართული ეკონომიკური ტერმინის დაზუსტებისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თხზულებების ქართულად თარგმნისათვის უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს ქართული სოციალურ-ეკონომიკური, ფილოსოფიური, საერთოდ მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებულობა,— რაც, ცხადია, შეესაბამება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობრივი და კულტურულ-მეცნიერული და, ბოლოს, თვით ამ თხზულებათა მთარგმნელობითი ხელოვნების განვითარების დონეს.

\* \*

ცნობილია ძეველითგანვე შექმნილი მთარგმნელობითი ხელოვნების მაღალი ქართული კულტურა. ცნობილია ისიც თუ რამდენად რაფინირებული იყო ქართული ლიტერატურული ენა უკვე ადრინდელ ფეოდალურ ეპოქაში და თუ რა მდენ მაღალი შეხედულებისა იყო ქართული ენის ლირიკაზე უკვე მე-8 საუკ. მწერალი იოანე საბანისძე, რომელიც მას იმდროინდელ ქრისტეანულ მსოფლიოში მხოლოდ ყველაზე გავრცელებულ ენას—ბერძნულს უტოლებდა. ხოლო იოანე-ზოსიმე (10 ს.) ქართულს უკვე ბერძნულთანაც უპირატესობას ანიჭებდა და საერთაშორისო ქრისტეანულ ენად სთვლიდა („...დამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსულისა უფლისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა [ზედა მოლაპარაკე] ლმერთმან ამხილოს ამით [ე. ი. ქართული] ენითაო“)<sup>1</sup>;—ასე ელოლიავებოდნენ და აღიდებდნენ ქართველ მწერლები და მთარგმნელები ქართულს.

მე-11—12 სს., როდესაც ქართული ფეოდალური კულტურა და მწერლობა თავის ზენიტს აღწევს, ფრიად განვითარდა, კერძოდ, ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგია. ამ დროს კარდინალურად შეცვლილია თარგმნის წესებიც. ჯერ უქვთი მე და მერმე გიორგი მთაწმინდელმა და, ბოლოს, განსაკუთრებით ეფრემ მცირემ, იოანე პეტრიწმა, არსენ იყალთოელმა და სხვ., ქართულში დაამკვიდრეს აზრობრივად ზუსტი თარგმანის კულტურა. მე-5—10 სს. ბერძნულიდან, ებრაულიდან, სომხურიდან, არაბულიდან და სხვ. შესრულებულ თარგმანებს უკვე ხშირად იწუნებენ, როგორც თავისუფალ თარგმანებს, რომლებიც სცილდებიან ოჩიგინალს და შეიცავენ მთარგმნელთა ჩინართებს და რომე-

<sup>1</sup> А. Чагарели, „Сведения о памятниках грузинской письменности“, 1886 Спб., II, 61.

ბიც არსებითად წარმოადგენენ ქართულ ვერსიებს, თუ რე—  
დაქციებს;—ესენი მოითხოვენ მაინცადამაინც თრიგინალი—  
დან თარგმნას.

ეფრემ მცირემ შექმნა მთელი თეორია მთარგმნე—  
ლობისა, რომელიც მერჩე საფუძვლად დაედო ლიტერატუ—  
რული მოღვაწეობის ამ დარგს საქართველოში. „თხზულებანი“,  
რომელიც მისი ხელიდან გამოდიოდნენ, დამუშავებულია სას—  
ტიკი და რთული ფილოლოგიური მეთოდებით, არაფერი აქ  
უგულებელყოფილი არაა, არც დადგენა და კრიტიკა ტექს—  
ტისა, არც სისწორე და სინამდვილე თარგმანისა, არც შედა—  
რება სხვადასხვა სწავლულ ქომენტატორთა აზრებისა“<sup>1</sup>.

ეფრემ მცირე მის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ „ფი—  
ლოთეონ ისტორიამ“—ს მინაწერში აცხადებს: „...ხოლო აქუს  
ჭიგნსა ამას ფრიადი სილრმე სიტყუათა: უმრავლესი ბერძნუ—  
ლად და არა მცირედი ქართულადაცა: რომლისა შეცვალე—  
ბად და გამარტივებად არ ძნელ იყო, გარნა შემინდვეთ  
ულირსა მონასა თქუნსა ეფრემსა მცირესა, რამეთუ ესრეთ  
უმჯობეს ვჰვინე, რათა ხატი და მოქცევა სიტყუათად იგივე  
აქუნდეს ბერძნულისად: რამეთუ ესეცა არავე უხმარ არს მათ—  
თვის რომელნი უამ ზრდილ არიან სძითა სიტყუათა მარტი—  
ვობისათა და მიწევნულ ჰასაკსა მტკიცისა საზრდულისა—  
სა...“<sup>2</sup>.

როდესაც ეფრემ მცირეს ბერძნულიდან სათარგმნ—  
ორიგინალში ისეთი სიტყვები ხვდებოდა, რომელთა შესატყ—  
ვისს ქართულში ვერ პოულობდა, მაშინ „სრულიად დაგდება—  
სა სიტყვისასა, ბერძნულადვე დაწერად ვარჩიე“—ო, სწერს იგი<sup>3</sup>.

ეფრემ მცირე ევედრება მის მიერ ბერძნულიდან  
თარგმნილი ჭიგნების „მკითხველთა და გადამწერთა“, რათა  
„არა დაუტეოთ ამათი დაწერად, რეცა სილრმისათვის, უხმარ  
საგონებლობისათვის“; ხოლო მერჩე იგი აცხადებს: „ვაქებ

<sup>1</sup> პ. პირი იძე, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, 1941, I,  
გვ. 230.

<sup>2</sup> თ. უორდანია, „ქრონიკები...“, 1897. II, 42.

<sup>3</sup> თ. უორდანია, „ქრონიკები...“, I, გვ. 219.

ჭესსა საწინასწარმეტყუელოთა წიგნთა მთარგმნელისასა, ოთხელთაგანი მცირედი რაა გაეგონების უსწავლელთა, განა თუ ზოგს რე სწავლულთა მიერ, გარნა სიტყუად სიტყვისა ნაცვალი შედარებულია ბერძულისა... დამართებითი არა აკლს, ხოლო ძალსა სიტყვისასა გულისხმის ყოფად ესე ზოგად ყოველთა ღულისაგან ვიხილოთ და შეუორგულებელმცა ვართ, რამეთუ მოვილოთმცა, უკეთუ ოდენ მოუწყინებელად ვრეკდეთ ზედაც სწედა კითხვითა და უმჭველოდ განგუელოს კარი გულისხმის ყოფისა, დაღაცათუ ყოველივე ვერ გულისხმა ვყოთ, გარნა ესე ხოლო ჟადმე უწყოდით, ვითარმედ ესე ვითარი არს საფილოსოფოსოე სწავლად...<sup>1</sup>

იდეალურ თარგმნად მას მიაჩნია, როდესაც თარგმანი ზუსტად მისდევს ორიგინალს, იგი ებრძვის თავისუფალ, ე. წ. ზეპირ თარგმანს: რადგან ზეპირად თარგმნისას „ყოველსა თარგმანსა უხმს შემატებად სიტყვისა, რეცა განმცხადებელად ძალისა“. ხოლო თვით იგი მოითხოვდა ორივინალის „მარტივი და და შეუზავებლად და შეუხეველად“ თარგმნას<sup>2</sup>.

საერთოდ თარგმნის ხელოვნებას საქართველოში ძველით განვე მაღალ შეფასებას აძლევდნენ. 1066 წ. ერთი გადამწერი აცხადებს, რომ ექვთიმე მთაწმინდელ მა „რომელმან გვითარგმნა წიგნი ესე და სხუა მრავალი წიგნები ბერძულისაგან ქართულად და განავრცელა და განანათლა ქართველთა ენა-“ო<sup>3</sup>; საერთოდ ე. მთაწმინდელს თველიდნენ „ახალ ოქროპირად, ქართველთა განმანათლებლად“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> თ. ეორდანია, „ქრონიკები...“ I, 216.

<sup>2</sup> იქვე, 217; ახალ დასავლურ ლიტერატურაში ცნობილია, მაგალითად, დიდროს მანერა, რომელიც როგორც თვით აღიარებს, სრულებით არ იხედებოდა სათარგმნ წიგნში, მხოლოდ წინასწარ წაიკითხავდა მას ორჯერ. „გაიკლინთებოდა მისი სულით“, მერმე დახურავდა წიგნს და... იწყებდა მის თარგმნას.

<sup>3</sup> თ. ეორდანია, „ქრონიკები...“ 1892, I, 211.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 148.

\* \*

2. თანამედროვე ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მე-17—18 საუკუნიდან განვითარებულ რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას და კერძოდ მთარგმნელობით მოღვაწეობას. მე-18 ს. დასაწყისიდან უკვე არა მხოლოდ რუსულიდან, არა-მედ სხვა ენებიდანაც ქართულად თარგმნილ თხზულებებში ბლობად ჩნდება რუსიციზმები.

უკვე იღებსანდრე ბატონიშვილის (არჩილ II-ის ძის) მიერ ფრანგულიდან ქართულად თარგმნილ „სა-არტილერო წიგნში“ იხმარება „სოსტავი“, „ვედრა“, „საბ-ლი“ (ცანკა) და მისთანანი<sup>1</sup>. პეტერბურგს, მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში მე-18 ს. დასაწყისიდანვე წარმოქმნილ ქართულ ლიტერატურულ წრეებში გარდა იმისა, რომ რუსულიდან ითარგმნებოდა მრავალი თხზულება, რუსულის მიხედვით აზუსტებდნენ თვით საეკლესიო ქართულ წიგნებსაც, რომელთაც იქვე ბეჭდავდნენ და რომლებიც მერმე ვრცელდებოდა საქართველოში<sup>2</sup>.

მაგრამ ეს გავლენა კიდევ უფრო გაძლიერდა მე-18 ს. მეორე ნახევრიდან, როდესაც ერეკლე II ბრძანებით გაჩაღდა რუსულიდან თარგმნა წიგნისა: სამართლის, აღმინისტრაციის, სახელმწიფო წესწყობილების, სამხედრო საქმისა და სხვ. შესახებ. ერთი ასეთი წიგნის მთარგმნელი იოანე დიმიტრი ყოფილი ხუცესმონაზონი აცხადებს (1760 წ.), რომ მას ერეკლე II მიერ ებრძანა „რუსთა ენისა-გან სამართლის წიგნისა გარდმოლება..., რომელიცა გარდმოვილე და... ვითარცა მტილსა შინა შესრულმან გლახაკმან მწვანილთა და ყვავილთა მთხოვარიდ და დანაშთთა მშოვნელმან კალთასა შთადებით და იღვიდებით ზურგსაზედა მოუძღვანე...“ მეფესა ირაკლისო.

<sup>1</sup> ქრ. შარაშიძე, „ხელნაწერთა აღწერილობა“, ქ. კრევლიძის რედაქციით, 1918, III, 62—63,


<sup>2</sup> 3. გუგუშვილი, „ქართული წიგნი 1629—1929 წწ.“, ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით, 1929 თბ. გვ. 75—90.

ცარიზმის პერიოდში სახელმძღვანელოები და საერთოდ მეცნიერული ტრაქტატები ქართულად იშვიათად იძექდებოდა. თითქმის ერთადერთი გზა ქართული მეცნიერული ტრაქტონოლოგიის განვითარებისა ქართული პრესა იყო. ქართული პერიოდიკა-ჟი (პირველი ქართული განხტოთი გამოიცა 1819 წ.) იმთავითვე რუსული ბეჭდვითი სიტყვის ორბიტში ვითარდებოდა და, ამგვარად, რუსული მეტყველების ქართულზე გავლენა, პირველის პეგემონბით, უკანასკნელის შეუჩერებელი განვითარების პროცესში, და, მაშასადამე ამ დროიდან დაწყებული ახალი ეპოქის ბუნებრივ ვითარებაში მიმდინარეობდა. ცნობილია, რომ არც ერთი ცივილიზებული ხალხის ენა არ განვითარებულა სხვადასხვა ენათა გავლენისა თუ ურთიერთ-შერწყმის გარეშე<sup>1</sup>.

ჩვენ არ ვეხებით რუსულ-ქართულის ურთიერთობის ფრიად დიდსა და მნიშვნელოვან საკითხს, ვიტყვით მხოლოდ, რომ იგი ურთიერთგანდიდრების საინტერესო ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში, როდესაც რუსული ლიტერატურის ქართულად და ქართულისა რუსულად თარგმნა-ვამოცემამ არაჩვეულებრივად ფართო ხასიათი მიიღო და, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე, ამ ხალხთა მტკიცე მეგობრობის პირობებში, დიდად გააგანიერა ორივე მათგანის აზრთაშეყობისა და ლექსიკური მარაგის შესაბამისობის არხები.

მაგრამ საქართველოში ცარიზმის პერიოდში რუსულის ქართულზე გავლენის პირობები სულ სხვა ხასიათს ატარებდა. მაინც, საუკუნე-ნახევარია რაც ქართველი ხალხის მთელი ცხოვრება განუყრელადა დაკავშირებული დიდ რუს ხალხთან და უკანასკნელთან მჭიდრო ურთიერთობის გზით მიიპართება საეთოდ ქართული ცივილიზაციის განვითარება. უკვე მე-18 საუკუნიდან და განსაკუთრებით მე-19 ს. დასაწყისიდან ქართველი ინტელიგენციის უმნიშვნელოვანესი და უცილაზე პროგრესული ნაწილის მეცნიერული ცნობიერების

<sup>1</sup> Маркс и Энгельс, Сочинения, IV, 414.



ვამდიდრების ძირითადი შეყარო არის რუსული ენა და ლიტერატურული მნიშვნელობით.

ასეთს ვითარებაში, გასაჯებია, ქართულ ლიტერატურაში რუსულის გავლენას, მეტყველებაში — რუსიციზმებს, ფართო გასაქანი მიეცემოდა. ახალი ქართული კულტურის მესიტყვებს, ქართველ განმანათლებლებს უხდებოდათ ისეთი რუსული თუ სხვადასხვა უცხოური სიტყვების, ტერმინების, გაქართულება, რომელთა ადეკვატური შესატყვისები ძველ ქართულ მწერლობაში თუმცა ხშირად შემონახული იყო, მაგრამ სალაპარაკო ქართულში უკვე არ მოიპოვებოდა; მით უმეტეს, რომ ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა სტამბურად გამოუცემლობას და, მაშასადამე, ხელმიუწვდომლობას, ისიც ერთოდა, რომ ცარიზმის პერიოდში ქართული ენა საზემწიფოებრივად არამცთუ აუცილებელი, — საჭიროც კი არ იყო და მეტნაკლები სიმკაცრით იდევნებოდა კიდევაც.

მხატვრულ ლიტერატურაში, სადაც უდიდესი გასაქანი აქვს ხალხურ სიტყვიერებას, ცხადია, შედარებით ნაკლებ ვანიციდნენ თანამედროვე წარმოებაში, საზოგადოებრივ ურთიერთობასა, კულტურასა და მეცნიერებაში შექმნილ ნივთთა, მოვლენათა და ცნებათა შესატყვისების მხრივ ქართულის სილარიბეს, მაგრამ კერძოდ ახალ ქართულ პუბლიცისტიკაში, ე. ი. სოციალურ-ეკონომიკურ ლიტერატურაში, სადაც, უკანასკნელის განვითარების შესაბამისად, სულ უფრო აუცილებელი იყო ზუსტი, მეცნიერულად ეკვივალენტური შესატყვისები — მე-19 ს.-ში მეტადრე იგრძნობოდა ეს სიძნელეები.

მე-19 ს. პირველ ნახევარშივე ქართული პერიოდიკის პიონერები, მერმე 1860-იანი წლებიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი, რევოლუციურ-დემოკრატიული ქართული პუბლიცისტიკის ფუძემდებელი, ქართველი განმანათლებელი ცხოველმყოფელი სინამდევილის საჭირობოროტო საკითხებზე, წერისას ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდნენ თავიანთი აზრების ლიტერატურულად გამოთქმის დროს: ვერ პოულობდნენ სასურველ ქართულ შესატყვისებს რუსული და სხვა-დასხვა უცხოური ტერმინებისა და, აღნიშნავდნენ რა ქართუ-

ლის დაკნიებას, მოუწოდებდნენ „ენის განკუთილებისა და გამდიდრებისათვის“ მუშაობისაკენ.

• ილ. ჭავჭავაძე 1889 წ. წერდა: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზედმოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავკარგიანობა... საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ – მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰქვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ“<sup>1</sup>.

ამასთანავე ილია იქვე აღნიშნავდა, რომ „ამ ზედმოქმედებამ რუსულის ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკევე ამ ლიტერატურისა თავისი საკუთარი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა და ამრიგად, არ დაიხედი ხელზე, ცხოვრებაში ითლად წასკლისათვის“, რადგან „ამნაირი კაცი კაჭაჭია და არა ჭრიშვილი წარმომადგენელი მის მიერ ქადაგებულის აზრისა“<sup>2</sup>.

რასაც ილ. ჭავჭავაძე აქ საერთოდ ლიტერატურაზე ამბობს მეტნაკლები ზომით, ითქმის კერძოდ ენის, მეტყველების, მეცნიერული ტერმინოლოგიის შესახებ.

ცნობილია, რომ პერიოდული პრესა, კერძოუ ენობრივი თვალსაზრისითაც, სხვა სახის ლიტერატურასთან შედარებით, უფრო მეტად და ინტენსიურად ტარდება საზოგადოებრივ ფილტრაციაში. ამიტომაც ჩვენ ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის განვითარების მაგალითებს პრესიდან და უპირატესად პუბლიცისტური და ე. წ. „მშრალი მასალიდან“ ვიღებთ.

<sup>1</sup> ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, VIII, 1928. ტფ. გვ. 285.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 286.

\* \* \*

დავითებით პირველი ქართული გაზეთიდან. „საქართველოს გაზეთის“ 1819 წლის ნომრებში, მაგალითად, გვხვდება ასეთი სიტყვები: „რუბლი“, (ასე წერდნენ მე-19 ს. თითქმის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში; მერმე იგი შეცვალა „მანეთმა“); „ნაჩალნიკი“; „ჩლენი“; „საყოველერო საცნობელად“; „ფუნტი“ (რაც მერმე შეცვალა გირვან-ქამ“); „პოვნილება“ (изобретение); „წინადაღებულება“ (преположение); „პოლიტიკებრი“, და სხვ.


გამ. „ტფილისის უწყებანი“-ს (1828 – 1832 წწ.) ფურცლებზე ვყითხულობთ: „ტანცობა“; „ციხე შტურმოვალი“; „ველომოსტი“; „რუბლი“; „ოტდელი კომუნი“; „ლრომოტა“; „პრივაზი“; „ზაპისკები“; „ხარაკტერისტიკა“; „ტიპოგრაფია“ (მაშინ, როდესაც უკვე ვახტანგ VI დროიდან ქართულში შემოლებული იყო სტამბა); „კეთილმიღებილი“ (благосклонность); „სრული ძალის მქონე მინისტრი“; „მორჩილე ჭიათვის ყარსისა“ (за покорение Карса); „ლაგერსა შინა“; „ნეკროლოდია“; „მეტეოროლოდია“ და სხვ.

ა-დ. ავტორი თავისთავად ფრიად საინტერესო ფელერონისა, წერს, მაგალითად, რომ შოთა რუსთაველმა პომეროსისა გა-ნ „განხურებულმან შესწირა თავი თვისი აღმკობილსა პოეზიასა“<sup>1</sup>; როგორც ჩედაქტორის შენიშვნიდან ჩანს, ეს სტატია დაწერილი ყოფილი რუსული და მერმე თვით ავტორის უთარგმნია ქართულიდ: „მუხლი (სტატია — პ. გ.) ესე დაწერილ არს როსიულსა ენასა ზედა ერთისა ახალგაზრდა პაცის მერ, რომელიც... განვიხილისე მე, რათა პითარგმნის მუხლი ესე ბუნებითისა ენასა ზედა მისსა, რომელიცა გარემოებულებე გამოსაძიებელთა მხედველობათაგან საზოგადოებისათა...“.

აღსანიშნავია, რომ თვით ჩედაქტია გამ. „ტფილისის უწყებანისა“, ბოლიშობს რა გაზეთის ნაკლოვანებათა გამო, უკანასკნელის რთერთ მთავარ მიზეზიდ ასახელებს ქართული ლექსიკონის, ტერმინოლოგიის სილარიბეს, შეუმუშავებლობას<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ტფილისის უწყებანი“, 1829 წ. № 3.

<sup>2</sup> იქვე, 1828 წ. № 15.



პირველ ქართულ უურნალს — „სალიტერატურონინი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (1832 წ.) შემთხვევას რესულის შემდეგნარი შესატყვევისები: „წინამიღება“ (предприятие); „აღღვინება“ (возвращение), „მამული“ (отечество), „კეთილწყობილება“ (благоденствие), „კეთილწყობილება“ (благоустройство) და სხვ.

შურ. „ცისკარში“ (1852 წლიდან) იხმარებოდა ტერმინები: „საფილოლოგიო“; „სოფლერი სახლოსნოზა“; „აღებიცემობა“; „თეთმდგომარეობა“ (самостоятельность); „სახმარისი საგნებია“; „ნაყოფიერი კლასებია“; „მიწის შემუშავებელნი“; „შეუმზადებელი მახალა“ (сырец); „გასაღება“ (сбыт); „ნაყოფიერი შრომა“ (продуктивный труд) და სხვ.

ცისკრელთა ერთი ნაწილი, „მამები“, ადგილად არ ეგუებოდნენ უცხო სიტყვების შემოღებას და ისინი ოხზიედნენ ქართულ შესატყვევისებს, მაგალითად: „წინმსვლელობა“ (პროგრესი); „მოცილეობა“ და „ქიშპობა“ (კონკურენცია); „რჯულებრივი“ (იურიდიული); „სიტყვიერების ტომარი“ (ეურნალი); „მხილველი“ (კრიტიკოსი); „წყობილსიტყვაობა“ (პოეზია); „სადაგსიტყვაობა“ (პროზა) და სხვ. ისინი (ბ. ჯორჯაძისა, ს. ალექსეევე-მესხიევი, ალ. ორბელიანი და სხვ. ილაშქრებენ ილ. ჭავჭავაძის წინააღმდევ იმის გამოც, რომ ილიამ ქართულში „შემოიტანა მრავალნი გაუკებარნი სიტყვანი“: ესტეტიკური, სენტიმენტალური, დრამატიზმი, კაპიტალი, პლასტიკა, ფორმა, სიუჟეტი, სტატია, პოეზია, პოემა, პროზა, კრიტიკა და სხვ<sup>1</sup>.

ალ. ორბელიანი არ ეგუება ქართულში ამგვარ უცხო სიტყვებს: „ერთმანეთზედ კრიტიკას რომ სწერენ... მაშრავომ აღარ ვიციოთ ქართულად კრიტიკა რა არის? — კრიტიკას თარგმნიან: გარკვევას, დაფისებას, გაკიცხვას, განსჯასა და გარჩევას. ჰო! თუ ამდენი სახელი პევიან ქართულად კრი-

<sup>1</sup> ვრცლად იბ. პ. გუგუშვილი. „ქართული უურნალისტიკა“, 1941, ტ. I. გვ. 201—356.

ტიკას, სწორედ ვიტყვი კარგი დიდი და განიერი მაფრაში ჰყოფილა, რომ ამთენი ჩუქნი სახელი შიგ ეტევა. ან სად არის ერთი ძლიერი გმირი, ამ მაფრაშის წამოავლოს ხელი, მრთელი იმიერ-ამიერობა დაატაროს და ყველას აჩვენოს, რაც ამ მაფრაში აწყვია. ვინ რომელ სახელს მოიწონებდა? — მაშინ იქნება ერთი რომელიმე სახელი ამოერჩიათ და იმის-თვის დაერქიათ სწორედ<sup>1</sup>...

ილიამ „მამებს“ განუმარტა, რომ კრიტიკის ქართული შესატყვისის ძებნა უშედეგო იქნებათ: „კრიტიკა — ამის თანასწორი მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართულს ენაზე და არც ძალიან საჭიროა, რომ იყოს, თუმცა უკეთესი იქნებოდა, რომ ყოფილიყო, რადგანაც ეგ დაგვიმტკიცებდა, რომ ჩვენი მამა-პაპანი მავ მხრივ განვითარებულნი ყოფილან. საღაც სახელია, იქ უთუოდ საგანიც უნდა იყოს. ეგ სიტყვა ეხლა მთელ კაცობრიობას ეკუთვნის და ყოველი ხალხი, ცოტაოდენად განათლებული, ხმარობს თავის ენაში. მაშიასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ეგ-სიტყვა ჩვენში იხმარებოდეს. ცრიტიკა» არის განხილვაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად<sup>2</sup>.

ილიას გამედულად შემოქონდა ქართულში მსგავსი უცხო, არსებითად ინტერნაციონ-ლური, ტერმინები და ამას-თანავე იგი შეუტიგებლად ებრძოდა უხამსურ გაქართულებას: „...უწინაც 『ცისკარში』 შეგვხვედრია ქართულ სტატიაში რა-ლაც გარმიანული სიტყვები, მაგ., ზადაჩა, რსტროვები, ლა-ნიები, მაგრამ ეს სიტყვები... სასაცილონი იყვნენ თავის უშვე-რობითაო“<sup>3</sup>.

ურ. „საქართველოს მოამბერ“ (1863 წ.), გან. „დროებამ“ (1866 წლიდან) და სხვ. საერთოდ „შვილებმა“, „თერგდალეულებმა“ „მამების“, „მტკვარდალეულების“, ბა-ტონყმური ყოფიერებისა და თეოთმბყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში ბურუუაზიული იდეოლოგიისა და ეროვნულ-განმან-

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1857 წ. № 6, გვ. 63.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1861 წ. № 6.

<sup>3</sup> ილ. ჭავჭავაძე, თხულებათა სრ. კრებული, II, 1941 წ., 10.

ახალ  
კუთხით

თავისუფლებელ ლიტერატურასთან ერთად შექმნეს ახალ ცნებათა შესაბამისი, ახალი ქართული შესატყვისები და შემოილეს და გააქართულეს უცხოური ტერმინები (ნაწილობრივ „ცისკრის“ ფურცლებზედაც) და ამ გზით გაამდიდრეს საერთოდ ქართული ენა—მიუხედავად იმისა, რომ ამ დროიდანაც შემოღებული მრავალი ტერმინი თანამედროვე ქართულში არ შეინარჩუნა.

სხენებულ ორგანოებში იძექდებოდა: „შემეცნება“ (сознание); „შეკუმშულობა“ (ограничение); „ნივთი“ (вещь); „საზოგადოების დაწყობილობა“ (общ. устройство); „აღრევა“ და „სახალხო აღრევულობა“ (révolution); „შრომის ნაყოფიერება“ (производительность труда); „სამოქმედო იარაღი“ (орудия производства); „მოაზრე ცხოვრება“ (идейная жизнь); „მოსაქმე ცხოვრება“ (практическая жизнь); „წარმოება“ (производство); „მიწის გამოსავალი“ (земледельческие продукты); „კომმუნური დაწყობილობა“<sup>1</sup>; „შრომის ნაყოფი“ (продукт труда); „საპოლიტიკო ექონომია“; „აღებ-მიცემობა“ (промышленность); „საპოლიტიკო შეხედულება“; „გამორთევა“ (взыскание); „საესთეტიკო მოძღვრება“; გაანგარიშებული გზა (направление); „ნებაყოფლობითი შრომა“ (свободный труд); „ნებაყოფილობითი შეკრულება“ (добровольное соглашение) და სხვ.

მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე მაგალითს ცალკეულ მწერალთაგან, რომელთაც მნიშვნელოვანი ლვაწლი დასდგეს ქართული სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგიის განვითარებას.

დიმ. ყიფიანის ნაწერებში მოიპოვება რუსულ-ქართულის შემდეგი ურთიერთშესატყვისები: მებატონე—помещик; ძირეული კანონი—коренной закон; მოსახლეობის იღწერა—перепись населения; ფეოდალური წესდებულება—феодальное устройство; დამოკიდებულება—иерархия; ურთიერთ-

<sup>1</sup> კირ. ლორთოჭიანიძე 1863 წ. წერდა: „...არიან კიდუც იმისთანა კაცები. რომ, ლინციც სრულს კამმუნურს დაწყობილებაში ხედვები საზოგადოების იდეალსა. და ამბობენ. რომ კაცობრიობა ამ იდეალისაკენ მიისწრაფის -თ („საქ. მოამბე“, 1863 წ. № 11—12).



ժամոյուցելութեա — взаимные отношения; յայտնութեա — человечество; թոժիօց խայտնութեա — движимая собственность; նօագո — почва; խամսաելոր, ցազասաեցո — повинность; խածաելոր — служба; խամսաելոր — подать; զայտոնեա զա օլյօ-մոնեա — торговля и промышленность; նոյոյրութեա — способность; վարչաեան, նօացու — завод; խայտութեալո — состояние; թոխայմութեա — деятельность; խահցեծլոնեա — выгода; խասութեա զշանութեա, խասութեա — сельское хозяйство; շնորհապահութեա — обеспечение; սոտու-չետութեա — быт; խաելուսյա-ծո — однофамильцы; յորոտ մուշատեա — вольнонаемная рабо-та; եբա-տյեսա — хлебопашество; ցաներանցо — предположе-ние; յամբորալոս ալթյուրո — камеральное описание; եարջեծո — издержки; Ցիրագո — штраф; հուծո — рубль; խարցեծո — проценты; նօրալոս նըլցըզ — возвращение убытков; Շըմուս-չալո — доход; օդցոլ-մանուլո — имение; Շըսթացըծ — приме-чание զա և եց.

8. Վեհցութեա նախցրեծնու զանցութեա Ծերմոնեծո: „տա-զուս-շնութեա“ (самосознание); „տցումուցութեա“ (самобыт-ность); „ձրայթուկուլո մոյմեցըծո“; „ծամծու մանուգայթուրո“ (хлопкоткацкая мануф.); „խառնութոյու խալիչացլութեա“; „ծո-նեծու ցամոմմութեա“ (естественноиспытатель); „նըլցու մոխելու“ (морской чиновник); „յահեցարո“; „նըլցու մոյրալո“ (мор- ской писатель); „խաելութոյու դաշնութութեա“ (гос. устро- ийство); „խաձոլութոյու մօցոմահութեա“; „մեցնուլ-մուցեցըլո“ (землепашец); „ահեաձորո“ (маска); „խայբու մըլնոյրեթեա“; „խա- ձոլութոյու դաշնութութեա“; „խազուրո“ (товар); „օցքչո“ (инструмент); „մեծացրոնե“ (хозяин); „խաձոլութոյու դամու- չութեա“; „զարյացութեա“ (неограниченный) զա և եց.

6. Եղութեա նախցրեծնու: „խամշատ օարալութեա“ (оборудование); „Մշատան քասո“ (среднее сословие); „խա- նոցագութեա“ (политэкономия, социальная экономия); „խայտութեա“ (товар); „ցածրույանը“; „մոմրոցեթեա“ Շոյմաց- լո; „Մրութու օարալո“; „շորտութեա“ (круговая порука); „խասութեա յիշեա“ (морской сход); „ցագությունը“

լցօծ» (приговор); „մոմերթեծուլո գաևո (дополн. плата); „սահոցածո մովուս մոլոծելոծօ« (общинное землевладение); „օմոցեծ« (выручка); „եռացելոծօ« (продовольствие); „սայտելուս զամյուտեծուլո« (товаропроизводитель); „ըրտօծ« (земство); „լինապոտ« (безрезульватный); „Շրտմուս նայուցո« (результат труда); „լամոյութեծուլո« (отношение); „սաելուսեմ և սիրտավութելո« (ремесл. учил.); „Շրտմուս զանախուլուցօ« (раздел. труда); „լինոր-մասիրումօ« (неравенство); „լունանցո« (расточительство); „ըրտումօ« (единство); „չոթմա« (конкуренция); „զանետվուլուցօ« (антагонизм); „նայուցո« (плод); „ըշտոմուրու սամարտլուանումօ« (эконом. справедливость) და სხვ.

Ես ձանախուրցեմ զարտուլ ձրեսամու, ձյալուցուս բույսու, արականատու Շեմտեղցա, հողեսաւ աելած մոլութեծուլ քրումոնած ստուլուն նամացուլու չյր կուց մայլ զարտուլ միջերլուննամու լամյութեծուլ սուրպացեմ, բրումոնցեմ, համացենագաւ մատու մարտլուց և աելած մեմոլուցօ լինացածատ, հոմ արա ցտէցատ ոմուս Շյսաեց, հոմ եշորած այտու աելած մեմոլութեծուլ, հուսուլուն հոմելում լուսու ենուս մուեցատ Շյժմենու անուն զարտուլու ծցըրած համուցարդեմ մցըլս.

Մացալուտուսաւուս սակարուսու «Շյալցահճնուլու» ձասա- նելուց; ոյտ անալ զարտուլու հուս. водопад-ուս პորթանուրու տարցմանուս սանուաս Շյմուսուլու.

Ըստեծուլ զարտուլ լույսոյուցրաց սածա-սլուն ան որի ծելու անս և սուրպա, «Շյարուստան», Սեպատա Շորուս, լիներուս: «...Ի առ Շյարունու Շյշիրնեցնան դա հաօվանուն, եցու լինութեծուս; դա եցցեց (եցնեց) Ի Շյերտացնեցնան, մունահայ Շյօյինեցնուս; լույսու Շյալլու մալուլու կլուց տա հագուս— դանիյերու; դա դածալու կլուց տա համցենսա— հանիյերու; եռլու լուճնահրտա նիշերցալուսա— ցոհանիսան; սաւա լրմած դա մօռնուց մուսու— լուծիրմած դա սաւա Շյնարած դա արա լուծիրմած լուսա— մոնուռ; սաւա միշերցալու լույնահրցնուս դա յուտսա ագցուլսա գալիմացւեցնուս— մոհցուռ.

დანჩქერი ლრმად ჩაიჭრების და აღმოდულილივით ზე აღმო-  
იჭრების—ზეირთი“<sup>1</sup>...

ამგვარად, თავის დროისათვის ამ შხრივ ესოდენ დახვე-  
წილ ქართულს, ცხადია, სრულიადაც არ ვირდებოდა ვილ-  
ია-ის გაქართულება და ნაცვლად შშენიერი და თანაც თვით  
საქართველოს რელიეფის შესაბამისად შექმნილი გრადა-  
ციებიანი ქართული შესატყვისებისა — დანჩქერი და  
ჩანჩქერი—„წყალვარდნილის“ შემოლება.

„წყალვარდნილი“, თუ არა ვცდებით, გ. წერეთელ-  
მა შემოიტანა. იგი 1868 წ. დაბეჭდილ ფელეტონში, „უცხო  
ქვეყნის ამბები“, წერდა: „...ბულონის ტყეში... პარიჟელები  
ისმენენ ბულბულის გალობასა და წყალვარდნილის (ვი-  
დოპად) ჩხრიალსო...“<sup>2</sup> მაგრამ ამ ტერმინის ქართულში დამ-  
კვიდრების დამსახურება, ცხადია, შესაბამის დარგში მომუ-  
შავე სპეციალისტებს უნდა მიეწეროს.

ხსნებული გარემოება გვიჩვენებს, თუ რამდენად დავი-  
წყებული იყო იმ დროს ძეველი ქართული მწერლობა და იმა-  
საც, თუ რამდენად დიდი იყო ის გარდატეხა, რაც ჩეენი  
ქვეყნის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში დაიწ-  
ყო მე-19 საუკუნიდან.

განხილული და ნაწილობრივ კიდევ ქვემოთ წარმოდგე-  
ნილი მასალა გვიჩვენებს აგრეთვე ახალი ქართული ლიტერა-  
ტურული ენის ევოლუციის შესაბამისად ოუსულის გაელენის  
უფრო და უფრო შეგუებისა და მერმე ქართულის მიერ რუ-  
სულისა და საერთოდ ღასაბურულის საკუთარი ბუნებრივი  
განვითარების ბრძენებში სავსებით გარდაქმნილი სახით ათვი-  
სების. საინტერესო სურათებს.

\* \* \*

3. ილ. ჭავჭავაძის ლევაჭლი ქართული მეცნიერული  
ტერმინოლოგიის მხრივაც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.  
იგი, აღნიშნავდა რა ქართული სიტყვის ჩამორჩენილობას და

<sup>1</sup> ს. ორბელიანი, „ქართული ლექსიკონი“, 1928, ტფ. 442.

<sup>2</sup> გას. „დროება“, 1868 წ. № 22.



შის განვითარებაში რუსულის დადგენით გავლენას წერდა: (1866 წ.): „მეტყველების ნიჭის ისეთი ვარჯიშობა უნდა, როგორც ყველაფერს სხვას. მეტყველების წყარო აზრია და აზრის წყარო ნებითი ცხოვრებაა. ჩვენ განკერძოების შემდეგ გონიერია აღარ გვიკოვრია და, რადგანაც ენას ჩაინც პირში ტოკია უნდოდა ჩვეულებისამებრ, ავილეთ და უაზრო ხმები, რომლებიც ჩვენი ხეხულების გარშემო პირუტყვის ბუნებაში ისმოდა, ენის სალაქლაქო ქართულ სიტყვებიდ ვაქციეთ, და მადლობა ღმერთსა, დღევანდლამდე ამ-გვარის სიტყვებით იოლად მივდივართ. ამიტომაც პირუტყვ-ბუნების ხმის მსგავსის სიტყვებით აიგსო ჩვენი ენა, და დახე, თუ ერთი გონიერითი აზრის მცველი სიტყვა ემატნა. მაგალითები ათასია: ფრიალი, კრიალი, ბრიალი, პრიალი, გრიალი, ქრიალი, ლრიალი, ჭრიალი, ხუტუნი, ლრუტუნი, სრუტუნი, წრუტუნი, ურუტუნი, ფრუტუნი და ათასი ამისთანით<sup>1</sup> აიგსო ახრმოკლებული, უნიადაგო ჩვენი უბედური ენა. სადღაა ქართული ენა?..“ განკერძოებული ცხოვრება საშუალებას არ გვაძლევდა, რომ ერთად გვეაზრნა, რომ ერთმანეთის აზრის აღებმიცემისათვის საერთო მნიშვნელობის სიტყვა და ენა შეგვექმნა!“<sup>2</sup>

ოთხიოდე წლით ადრე, 1862 წ., ეხებოდა რა კერძოდ ქართულში ახლად შემოლებულ ტერმინებს, ილია ცეხადებდა: „ამ უკანასკნელ დროს რამდენი ახალი სიტყვა შედგა წმინდა ქართული: შიგ მდებარეობა (содержание), მიქცევ-მოქცევა (отношение не в смысле математического отношения), წარ-ლტოლვილი (отвлеченный), მოთხოვნილება (требование), გავლენა (влияние), მიმართულება (направление), მეცნიერება (наука) და თვით „მამული“ უწინ იხმარებოდა როგორც მარტო დედულ-მამულის სახელი, ეხლა ეგრეც იხმარება და ისეც, როგორც მთელი სამშობლო ქვეყნის სახოგადო სახელი, მაგ..

<sup>1</sup> შეად. აკად. გ. აზვლედიანი, „ბაქერათმონაცვლების წოგიერთი საკითხი ქართულში“ (თ. ს. უ. შრომები, 34, 1948, გვ. 356-360).

<sup>2</sup> ილ. ჭავჭავაძე, „თხშულებათა სრული კრებული“, 1841, II, 57.

ჩემი მამული საქართველო". ანდა კიდევ, ერთგან იგი წერდა:  
„ჩენს ენაში სიტყვა არ მოპოვება იმ აზრის ვამოსახატად,  
რასაც რუსული სიტყვა „состоиcie“ ნიშნავს. ეხლანდელი  
ჩენი სიტყვა „წოდება“ გუშინდელი სიტყვაა; ეს ლა წერები  
ვაინაჩრობით და ისიც ვინ იცის ვარგა სახმარად თუ არა,  
არამდე ხალხში არ არის ეკ სიტყვა, ან მაგის მხვავსი რაშ  
აზრითა და მნიშვნელობითა, ძველს კანონებშიც და წერი-  
ლებშიც არსად არ შევხედრივართ"<sup>1</sup>.

ილია ამასთანავე აღნიშნავდა ას დად შემოლებულ  
სიტყვათა შეთვისება-გავრცელების სიძნელეს:  
„...ეს სიტყვები ხომ სულ წმინდა ქართულია, მაგრამ მაინც  
კიდევ ადგილად გასაგებნი არ არიან, ამიტომ  
რომ ახლები არიან, ე. ი. ახალის აზრით და მნიშვნე-  
ლობით იხმარებიან. რასაკირველია, ამ სიტყვების აზრს  
შევეჩვევით თავის დროზედ, მაგრამ მინამ შევე-  
ჩვევით, იმ დრომდე ეგენი ბნელში იქნებიან და  
ძნელად გასაგონნია"<sup>2</sup>.

ცხადია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განმტკიცებუ-  
ლი რუტინა როგორც ყოველ საქმეში, ისე აქაც ხელს  
უშლიდა სიახლეთა შემოტანასა და დანერგვას.

ამ კონტექსტში კიდევ ერთ საყურადღებო საკითხს უნდა შევვხოთ. ზემოთ ამოწერილ ცატატში მოყვანილია თვით  
ილიას მიერ შემოლებული თუ მოწონებული რამდენიმე ახალი  
ქართული ტერმინი. მათგან ზოგიერთი (მოთხოვნილება, გავ-  
ლენა, მიმართულება) საბოლოოდ დამკვიდრდა ქართულში;

<sup>1</sup> ილ. ჭავჭავაძე, „თხზულებანი“, VIII, 56; აღსანიშნავია, რომ დიმ.  
შიფრიანი ბატონყმობის გაუქმების შესახებ (1863 წ.) პარალელურად  
ქართულ-რუსულ ენაზე დაწერილს თავის ვრცელს მოხსენებაში სისტომიური  
შესატყვას არსად არ იძლევა, მაგალითად, ტექსტში რეს:  
освобождение вообщем всего крепостного состояния-е შეესა-  
тишь съюзомъ ქართულе: „განთავისუფლება სახოვადოდ ყმებისა“ (იხ. პ. ვ. გუ-  
გუშვილი, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, 1950, II, 93). მაგრამ სისტომიური  
ადგევაური ქართული ამგანადაც არ მოგვეპო-  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 633. კურსივი ჩვენია—პ. გ.

ნაწილი კიდევ დღეს სულ სხვა აზრით იხმარება, ზოლი იმ რუსულ ტერმინებს, რომელთა შესატყვისად ისინი თვით ილიამ გამოიყენა, სხვა ქართული შესატყვისი დაუმცვიდრდა. მაგ., სილერჯანიე—შრიასარსი, (ნაცვლად „შიგ-მდებარეობისა“); ითხოვენ—ურთიერთობა, დამოკიდებულება და სხვა (ნაცვლად მიქცევ-მოქცევისა); ითვლებენ განყენებული, (ნაცვლად წარლტოლვილისა) და სხვ..

ზემოთ, „საქ. გაზეთიდან“, „ტფ. უწყებანიდან“ და სხვ. ორგანოებიდან მოყვანილი რუსული თუ უცხოური ტერმინების რიგი თავდაპირველი ქართული შესატყვისი ქართულის შემდგომმა განვითარებამ საესებით უარყო, ან გადამუშავებული სახით შეინარჩუნა, ანდა კიდევ ძეველი ქართული მწერლობის ძეგლთაგან შეჩრეული შესაბამისი შესატყვისით შეცვალა. რუსული და უცხოური ტერმინების ქართულ შესატყვისთა ამგვარი ტრანსფორმაციის შესწავლა ლირსია სპეციალური შრომისა, რომელიც წარმოგვიდგენდა ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის განვითარების საინტერესო და თანაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის ისტორიას. ჩვენ ქვემოთ გაკვრით განვიხილავთ ადეკვატურობის მიმართულებით წარმოებულ ქართულ შესატყვისთა ამ ტრანსფორმაციის ორიოდე მაგალითს.

თავისი ხანგრძლივი და დიდათნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე ილ. ჭავჭავაძე არა ერთხელ აღნიშნავდა ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამორჩენილობას. 1880-იან წლებში, იკვლევდა რა საქართველოში აგრძარული ურთიერთობის საკითხებს, იგი იძულებული იყო განვცხადებინა: „ბოლიშ ვიხდით ჩვენ მკითხველებთან, რომ სიტყვა ჩვენი მძიმეა და ადეილად გასაგები არ არის: იმ საგნისათვის, რომლის გამოც ჩვენ მოგვიხდა ამ-უამად ლაბარაკი, ტერმინები და თვით წყობა სიტყვიერებისა ჯერ არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენს ენაში შემოტანილი და გაშინაურებული“; იგი მაინც იძლენად მოწიწებით ეპურობოდა ქართულს, რომ კიდევ ბოლიშმბდა: „სიმძიმე სიტყვისა იქნება ჩვენ მიერ ენის უცოდინარობის მიზეზითაც იყოს“.

ილია აქტიურ მონაწილეობის ლებულობდა სწორედ იმ ხანებში თბილისში შექმნილ ტერმინოლოგიის კომისიაში. 1885 წელს იგი ი. მეუნარგიას წერდა: „ზოგიერთმა ჩეენგან ახლად შემოღებულმა სიტყვებმა და ტერმინებმა მოწონებისა და დაწუნების ღალადი მოპფინეს ჩეენს სალიტერატურო არე-მარესო“<sup>1</sup>. ამ მიმართულებით მუშაობა მას არასოდეს არ შეუწყვეტია მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე.

ქართული ტერმინოლოგიის შემუშავების მხრივ ილ. ჭავჭავაძის მოღვაწეობაში აკად. ა. შანიძე აღნიშნავს ორ მომენტს. ესაა: „ერთი მხრით უკეთ სიტყვების შემოტანა და მეორე მხრით ქართული ენის წიაღში დაძებნა ისეთი სიტყვებისა და გამოთქმებისა, რომლებიც საკიროა მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგისათვის“<sup>2</sup>; ვთიქრობთ, აქ საჭიროა დაემატოს კიდევ მესამე მომენტი: გარდა აშისა, ილია ჰერი ახალ სიტყვებს, ტერმინებს. ჰერიდა, ცხადია, ქართული ენის ბაზაზე. იგი ამას თვითონ უწოდებს შესაფერი სიტყვის მოგონებას (გამოგონებას). სწორედ ასეთი, ახლად შექმნილი, სიტყვის შესახებ ილია წერს: „რაც უნდა კარგად მოიგონო სიტყვა, თუნდა წმინდა ქართულიც იყოს, რაკი ამ სიტყვას ახალს მნიშვნელობას მისცემ, ისიც ისე გაუგებარი იქნება ჯერხანად, როგორც უკეთ ენის სიტყვა. ამ უკანასკნელ დროს რამდენი ახალი სიტყვა შედგა წმინდა ქართული“, დასძენდა იგი.

ილიას ახალი სიტყვების წარმოქმნა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების აუცილებელ თანამდევ მოვლენად ჰქონდა წარმოლგენილი: „თუ ხალხი ცხოვრობს, განვითარებაში არის, ე. ი. აზრიანობა, გამსჯელობა ემატება, სიტყვაც მოემატება, ენაც გაუმდიდრდება. ვინც იძახის, ნუ იხმარებთ ახალს სიტყვებსაო, იმან არ იცის რას ამბობს. ის ამით ამბობს, რომ აზრს ნუ გვმატებთ, გონებას მხელველობას ნუ უვრცი-

<sup>1</sup> ილ. ჭავჭავაძე, „წერილები“, I, 1949, სონუმი. გვ. 67.

<sup>2</sup> აკად. ა. შანიძე, „ი. ჭავჭავაძე, როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის“ (იხ. „ილ. ჭავჭავაძე საბულეო კრებული“, 1939, თბ., 22).

ლებთო, წინ ფეხს ნუ გვადგმევინებთო, ერთი სიტყვით—  
კაცნი კაცობას ნუ ჩემობთო“<sup>1</sup>.

ამასთანავე ილია მიითხოვს მეცნიერულ მწერლობაში  
ხმარებულ ტერმინთა აზრის სიზუსტეს, გარკვეულობას, რაც  
სალაპარაკო ენაში ჩვეულებრივ არაა ყოველთვის დაცული.

ნ. ეორდანიასთან, „ამ ჩვენს ძალათ მარქსისტთან“<sup>2</sup> კა-  
მათში,—არჩევს რა სიტყვის სალაპარაკო, ლექსიკონურსა და  
მეცნიერულ-ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას, ილია წერს  
(1900 წ.): „მაგალითებრ, სიტყვა „კაპიტალი“ საყოველდღეო,  
საყველ-პურო საუბარში ხშირად იხმარება ვითარცა ფულადი  
ქონება ადამიანისა და განა მეცნიერული მნიშვნელობა ამ  
სიტყვისა ეს არის? განა იგი „კაპიტალი“, რომლის ახსნასაც  
სახელოვანმა მარქსმა სამი ტომი თხზულება მოანდომა, და ეს  
საყველ-პუროდ ხსენებული „კაპიტალი“ ერთი და იგივეა?“<sup>3</sup>.

ამგვარად, სალაპარაკო სიტყვას ხშირად სხვა მნიშვნე-  
ლობა ეძლევა მეცნიერებაში, მაგრამ ასეთ შემთხვევაში იგუ-  
ლისხმება, რომ ლატერატურაში არსებობს ამ სიტყვის, ე. ი.  
ტერმინის ცნების სპეციალური და ზოგადი მეცნიერული მნიშ-  
ვნელობის განმარტება. სხვარიგად სალაპარაკო სიტყვის სხვა  
ენებში უკვე მეცნიერულად დადგენილ ტერმინთა შესატყვი-  
სად გამოყენება ძალიან ხშირად მარცხს განიცდის. მაგალი-  
თად, „თანხა“—კაპიტალის მაგიერ, „ჯამაგირი“—ვარპლატა-ს  
(ხელფასის) მაგიერ და სხვა.

როგორც ცნობილია ილია ჭავჭავაძეს შემოქმნდა ახალი  
სიტყვები, ტერმინები და გამოთქმები თვით დროის ვითარების  
მიერ წამოყენებული ახალი ცნებების აღსანიშნავად. ამას-  
თანავე უნდა ითქვის, რომ ამ სიტყვებსა და ტერმინებს იგი  
ჰქმნიდა ქართული ლექსიკური მასალისა და ქართული ენის  
მიერ შეთვისებული უმთავრესად, ცხადია, რუსული სიტყვების  
და ამასთანავე გავრცელებული უცხო სიტყვების მიხედვით.

<sup>1</sup> ილ. ჭავჭავაძე, თხს. სრ. კრებული, 1941, II, 633–634.

<sup>2</sup> ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, IX, გვ. 149.

<sup>3</sup> ილ. ჭავჭავაძე, იქვე, 141.

ილია დიდ მოთხოვნილებას უყენებდა, კერძოდ, თარგ-  
ვნის ხელოვნებას. იგი 1879 წ. ამათრახებდა გ. თუმანი-  
შვილს, რომელსაც,—არ ფლობდა რა ქართულ ენას,—„რუ-  
სულიდამ არამც თუ სიტყვა-სიტყვით უთარგმნია, ბრუნვაც  
კი გადმოულია“<sup>1</sup>. ჯირ კიდევ ახალგაზრდა ილია შეუპოვრად  
მკვეთა კაზლოვის „შეშლილის“ მთარგმნელს რევაზ ერის-  
თავს და უკანასენელთან ერთად მთელ „ძველ თაობას“,  
როგორც თვით სათარგმნი თხზულების (ავტორის) შერჩევის,  
ისე კერძოდ ქართული ენის დაცვისა და განვითარების საკი-  
თხებში.

ისილავდა რა რევაზ ერისთავის ხსენებულ ნამუშევარს.  
ილია სწერდა (1860 წ.): „როცა ვითხულობდით თარგმნილ  
„შეშლილსა“, სწორედ უნდა მოგახსენოთ, ხან ვვეცინებოდა,  
და ხან გვაწუხებდა, რომ ევეთი უენო ენად უნახეთ ჩვენი  
საყვარელი ენა... გიკვირს, კაცმა როგორ უნდა გაიმეტოს  
თავის დედ მამის ენა ისე, როგორც თვეად ერისთავს გაუ-  
მეტნია! სწორედ უნდა მოგახსენოთ, ამისთანა წერაში არამც  
თუ იყოს ენის სიყვარული, არამედ ენის სრული უპატიობაა  
და სიძულვილი“<sup>2</sup>.

ილია აღნიშნავს, რომ ცუდ თარგმანს შეუძლია სახელი-  
გაუტეხოს თვით ავტორსაც: „...თუ კაზლოვი შეგძულდეთ,  
ჩვენო მკითხველო, თავისი ბრალი არ იქნება, როგორც მის  
უწყალო მთარგმნელისა...“, რადგან... კაზლოვის „შეშლილი“  
სრულიად შეშლილა ქართულს ენაზედ; ერთი ბეჭო შებრა-  
ლება და სიყვარული არა ჰქონია იმის მთარგმნელს—არც იმი-  
სი, რაც უთარგმნია, არც თავისივე ამორჩეული პოეტისა, არც  
ხელოვნებასა, არც თავისი მშობლიური ენისა. მარტო ჩანს,  
რომ საკვირველად ჰყვარებია თ. ერისთავს რითმების რახა-  
რუხი“<sup>3</sup>; ამგვარად, ილია მოითხოვს აგრეთვე, რომ მთარგმ-

<sup>1</sup> ილ. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრბ., 1941. II, 243; გ. თუმანიშვილის „ალმანახში“ (1879 თბ.) მოთავსებულ კეორქ დანდენის „თარ-  
გმანხე“.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 17.

ნელის შეხედულებები, მიმართულება, უნდა ემთხვევოდეს აფტორისას, ე. ი. მთარგმნელს მთლიანად უნდა ესმოდეს ჰეტორი; კიდევ მეტი, მას უნდა უყვარდეს „თავისივე ამორჩეული“ ავტორი და ის საქმე, იდეალები, რასაც უკანასკნელი ემსახურება საკუთარ მოწოდებადვე მიაჩნდეს. ვინაიდან „ვისაც იგი მადლი ღვთისა არა აქვს, რომ სხვის სიხარულით ვაიხაროს, სხვის სიხარულს ვერც შეამჩნევს, ვერც აღიძეჭდავს“<sup>1</sup>.

კერძოდ მეცნიერული ლიტერატურის თარგმანში ცნობილია შემთხვევები, როდესაც ორივე ენის კარგ მცოდნეს, რომელსაც საფუძვლიანად არ სცოდნია სავანი, ე. ი. თემა-თხზულებისა, და რომელსაც, მაშასადამე, არ შეძლო მისი ვაგება, სავსებით დაუმასხინჯებია ავტორის აზრები; ცხადია, ანალოგიური შედეგი მიიღება ძალიან ხშირად მაშანაც, როდესაც ავტორის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი უწინააღმდეგება მთარგმნელისას.

\* \*

4. ჩვენს ეპოქაში ქართული სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგიის განვითარება ბუნებრივად უკავშირდება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თხზულებების ქართულად თარგმნის საქმეს. მარქსიზმ-ლენინიზმი ეპოქალურ სიახლეთა შომასწავებელია არა მხოლოდ მეცნიერებაში, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამ ახალ დიდ მეცნიერებას არ შეძლო წარმოქმნილიყო, სხვათა შორის, ახალი სიტუაციების, ახალი ტერმინების შექმნის გარეშე.

თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კ. მარქსი მეცნიერულ თარგმანს, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ „ქაპიტალის“ პირველი ინგლისური თარგმანი (1875 წ.), რომლის შესწორებას თვით ავტორმა მოყიდა ხელი, არ გამოქვეყნებულა უმთავრესად იმის გამო, როგორც ფრ. ენგელსი გადმოგვცემს, რომ ვერ გამოუნახავთ „სავსებით შესაფერისი მთარგმნელი“.

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხ. სრ. კრება, 1941. II, გვ. 535.

„კაპიტალის“ ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობაში  
 (1886 წ.) ფრ. ენგელსი, უდგენს რა მკითხველს თარგმა-  
 ნის ანგარიშგებას, აცხადებს: „....არის მაინც ერთი სიძნელე,  
 რაც ჩვენს მკითხველს ვერ ვფაცილეთ. ესაა ზოგიერთი ტერ-  
 მინის ხმარება ისეთი მნიშვნელობით, რომელიც განსხვავ-  
 დება იმისაგან, რაც მათ აქვთ არა მხოლოდ ყოველდღიურ  
 სალაპარაკო ენაში, არამედ ჩვეულებრივ პოლიტიკურ ეკონო-  
 მიაშიც. მაგრამ ეს აუცილებელი იყო. ყოველი ახალი  
 თვალსაზრისი მეცნიერებაში იწვევს რევოლუ-  
 ციას მის ტექნიკურ ტერმინებში. ყველაზე უკეთ  
 ამას ააშკარავებს ქიმია, რომლის მთელი ტერმინოლოგია  
 საფუძვლიანად იცვლება დაახლოებით ყოველ ოც წელიწად-  
 ში, ისე რომ ძნელად თუ მოიძებნება ისეთი თუნდაც ერთი  
 ორგანული შენაერთი, რომელსაც არ ჰქონდეს რიგი სხვადა-  
 სხვა სახელწოდება. პოლიტიკური ეკონომიკა ჩვეულებრივ კო-  
 მერციული და მრეწველური (ინდუსტრიული) ცხოვრებიდან  
 დღებულობდა ტერმინებს იმ სახით, როგორადაც მათ ნახულობ-  
 და და იყენებდა ისე, რომ სრულებით ვერ ამჩნევდა, რომ  
 ამით იგი თავს იზღუდავდა ვიწრო წრით იმ ცნებებისა, რო-  
 მელთაც ეს ტერმინები გამოხატავდნენ. მაგალითად, კლა-  
 სიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიკამ გარკვევით იცოდა,  
 რომ მოგებაცა და რენტაც მხოლოდ ქვედანაყოფებია,  
 მხოლოდ წილადებია პროდუქტის იმ ფასებით რაოდენობის ნა-  
 წილისა, რომელიც მუშამ უნდა მისცეს თავის მეწარმეს (რამ-  
 დენადაც მეწარმე მხოლოდ პირველი ითვისებს მას, მაგ-  
 რამ იგი არაა მისი უკანასკნელი, ერთადერთი მეპატრონე).  
 თუმცა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკაც-კი არ გასცი-  
 ლებია მოგებისა და რენტის ჩვეულებრივ ცნებათა ფარგ-  
 ლებს, მას არასოდეს არ გამოუკვლევია პროდუქტის ეს  
 ნაწილი (რომელსაც მარქსი ზედმეტ პროდუქტს უწოდებდა)  
 მის ერთობლიობაში, როგორც მთლიანი რამ და ამიტომაც  
 არასოდეს არ მიუღწევია ნათელ გაგებამდე მისი წარმოშობის,  
 მისი ბუნების და კანონებისა, რომლებიც აწესრიგებენ მისი  
 ღირებულების შემდგომს განაწილებას. სწორედ ასევე მთელ

წარმოებას, სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის გამოკლებით, განურჩევლად მოიცავს ტერმინი მანუფაქტურა, რაც თაც წარიხოცება განსხვავება ეკონომიკური ისტორიის ორ დიდ და ძრსებითად განსხვავებულ პერიოდს შორის: ხელით შეკომის დახაწილებაზე დამყარებულ საკუთრივ მანუფაქტურისა და მანქანების გამოყენებაზე დამყარებულ თანამედროვე მრეწველობის პერიოდს შორის. ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ თეორია, რომელიც თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებას განიხილავს, როგორც მხოლოდ გარდამავალ სტადიას კაცობრიობის ეკონომიკურ ისტორიაში, უნდა ხმარობდეს ტერმინებს, რომლებიც განსხვავდებიან ჩვეულებრივი ტერმინოლოგიისაგან ავტორებისა, რომლებიც წარმოების ამ ფორმებს განიხილავენ, როგორც მარადიულ და საბოლოო ფორმებს”<sup>1</sup>.

ამგვარად, როგორც ფრ. ენგელსი წერს, „ახალი მოძღვრების (და ისიც ისეთი მოძღვრებისა, როგორიცაა მარქსიზმი) შემქმნელ აუარიანს არ შეეძლო არ შეექმნა აგრეთვე ახალი ტერმინები, რაც, რა თქმა უნდა, დიდიდ ართულებდა. მარქსის გენიალური თხზულების თარგმნას.

ერთი წლით ადრე (1885 წ.), ეხებოდა რა ისევ „კაპიტალის“ I ტომის ინგლისურად თარგმნის საკითხს, ფრ. ენგელსი წერდა: „იმისათვის, რათა თარგმნოთ ასეთი წაგნი, არაა საჭმარისი კარგად იცოდეთ გერმანული ლიტერატურული ენა. მარქსი თავისუფლად სარგებლობს გამოთქმებით ყოველდღიური ცხოვრებიდან და პროვინციული დიალექტების იდიოსებით; ის ქმნის ახალ სიტყვებს, თავის საილუსტრაციო მასალას ის ილებს მეცნიერების კულტურული, ხოლო ციტატებს—მრავალ სხვადასხვა ენაზე დაწერილი წიგნიდან; იმისათვის, რომ იგი გაიგოთ, საჭიროა ნამდვილად საფუძვლიანად ფლობდეთ გერმანულ ენას, სალა-

<sup>1</sup> K. Marx, „Капитал“, I, 1950. стр, 29—30; K. Marx, „Das Kapital“, I. Moskau, S. 25—26.

პარაკოსა და ლიტერატურულს, და ამას გარდა საჭიროა ზოგი რამ იცოდეთ გერმანული ცხოვრებიდანო<sup>1</sup>.

ამასთანავე ფრ. ენგელსი, მიუთითებს რა, რომ ძლიერი გერმანული ენა უნდა ითარგმნოს ძლიერი ინგლისური ენით, რომ უნდა იქნეს გამოყენებული ენის საუკეთესო რესურსები, აცხადებს: კ. მარქსის მიერ „ახლად შექმნილი გერმანული ტერმინები მოითხოვენ შექმნას შესაბამისი ახალი ინგლისური ტერმინებისა“ და რომ „ტექნიკური ტერმინი ყოველთვის გადაცემულ უნდა იქნეს ერთიდამავე ტოლმინიშვნელოვანი ტერმინებით“<sup>2</sup>.

ჩვენ აქ ხაზგასმით აღვნიშნავთ კერძოდ იმ მითითებას ფრ. ენგელსისა, რომ კ. მარქსი ქმნიდა ახალ სიტყვებს, რომმის მიერ შემოლებული გერმანული ტერმინების ინგლისურად გადასაცემად აუცილებელია შესატყვისი ახალი ინგლისური ტერმინების შექმნა და რომ ტექნიკური ტერმინის (ვაგ., Wertgrössse—ლიტებულების სიდიდე) გადაცემა ყოველთვის უნდა ხდებოდეს ერთი და იმავე ეკვივალენტური ტერმინით.

გასაკებია, რომის, რასაც ფრ. ენგელსი ამბობს კ. მარქსის ინგლისურად თარგმნაზე, ითქმის ყოველ სხვა ენაზე თარგმნის შესახებაც და კერძოდ ქართულად მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თხზულებების თარგმნაზედაც.

ამავე დროს ჩვენი მთარგმნელებისაგან ძალიან ხშირად გაიგონები: „ასეთი გამოთქმა ქართულს არ ახსიათებს“; „არც ერთი ქართველი ასე არ წერს“; „ეს ტერმინი ქართულად მძიმედ გამოითქმის“; „ასეთი სიტყვა ქართულში ჯერ არ გაგონილა“ და სხვ. და ეს მაშინ, როდესაც ფრ. ენგელსი მთარგმნელისაგან პირდაპირ მოითხოვს ორი გინალის ადეკვატური ახალი ტერმინების შე-

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XVI, ч. 1, 1937, стр. 230.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 231.

ქმნას,—ცხადია, როდესაც ასეთი არ მოიპოვება ენაში, რომ  
მელზედაც ითარგმნება კ. მარქსი. ხოლო, როგორც წესი,  
ასეთი სიტყვები, ტერმინები, სხვა ენებში არ მოიპოვება,  
რამდენადაც ისინი თვით სათარგმნი თხზულების ავტორზა  
შექმნა თავის ენაზე, ხოლო ყველა სხვა ენას უხდება  
ან უთარგმნელად მიიღოს, ანდა შემოქმედებითად თავგმნოს  
იგი, ე. ი. თავისი ენის საგანძურიდან შექმნას ადეკვატუ-  
რი ნაციონალური ტერმინი.

რა თქმა უნდა, ამგვარ ნიადაგზე ქართული ტერმინის  
შექმნისას ამოსავალ წერტილად უნდა იქნეს მიღებული არა  
მხოლოდ სრული აზრობრივი ექვივალენტობა, რაც მეცნი-  
ერულ ტერმინოლოგიაში მაინც ყველაზე მთავარია, არამედ  
ისიც, რომ იგი შეძლებისამებრ ქართულად ულერდეს, ქარ-  
თულად, ე. ი. ქართველისათვის ადვილად გამოითქმოდეს,  
ერთი სიტყვით, ენობრივად ქართული ხასიათისა იყოს.  
ოლონდ აქ ერთი რამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს: ყო-  
ველი ახალი უცხა. ყოველი ახალი ტერმინი უჩვეულოა,  
მძიმედ გამოითქმის, სხვანაირად ულერს, ყურს ეხამუშება.  
მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ იგი ჩეცულებრივი ხდება,  
ქართულად იწყებს ულერას და ადვილადაც გამოითქმის.

\* \* \*

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა თხზულებების  
რესულ ენაზე გამოცემამ შედარებით ფართო ხასიათი მიიღო  
რუსეთის პირველი რევოლუციის დროიდან. ხშირად იბეჭ-  
დებოდა განსაკუთრებით მომცრო მოცულობის ნაწერები.  
რუსეთის იმპერიის მრავალ ქალაქში და საზღვარგარეთაც  
რუსულად თარგმნიდნენ და ხშირად მასობრივი ტიტანით  
სცემდნენ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის ნაწერებს. დიდი  
რაოდენობით გამოცემულა გ. ლენინისა და ი. სტალინის  
ნაწერები, რომელთაგან ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნ-  
დებოდა უურნალ-გაზეთებშიაც.

როგორც ცნობილია, ამ პერიოდში გამომცემლობის,  
კერძოდ პოპულარულა ბროშურების, აგიტაციურ-პროპაგან-  
დისტული ლიტერატურის გამოცემა კომერციულადაც მომ-



ვებიან საქმედ იქცა. ამ მარივ ეს ის ღრო იყო, როდესაც, როგორც ვ. ლენინი წერს, „ვაჭრები თავს ანებებდნენ შვრიით ვაჭრობას და იწყებდნენ უფრო მომკებიან ვაჭრობას — იაფა დემოკრატიული ბროშურით. დემოკრატიული წიგნაკი ბაზრის პროდუქტად გადაიქცა“<sup>1</sup>.

ამავე პერიოდში განვითარდა კერძოდ ქართული დემოკრატიული წიგნაკების გამოცემლობაც. იბეჭდება დიდძალი როგორც ორივინალური, ისე ნათარგმნი ლიტერატურა. ცალკე გამოცემების სახით გამოდის ამხანაგ ი. სტალინის რიგი შრომა. ქართულად გამოიცა ფრ. ენგელსის რამდენიმე შრომა. კერძოდ, „სოციალიზმის განვითარება უტოპიდან მეცნიერებამდე“ 1906 წელს გამოსცა „სხივმა“ (№ 3), სახელწოდებით: „სამეცნიერო საუბარი“. ამგვარად, არამცუ ავტორი არაა არსად მოხსენებული, არამედ შეცვლილია თვით შრომის სახელწოდებაც. ფრ. ენგელსის ამ შრომის ქართული გამოცემა ორჯერად (№№ 3227 და 3253) აღწერილი „ქართულ წიგნში“ ივტორისა და შრომის ნამდვილი სახელწოდების გაუშინებად<sup>2</sup>.

კიდევ უფრო ადრე, სახელდობრ 1905 წელს, თბილისში ქართულად გამოქვეყნდა კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის, „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“ და ფრ. ენგელსის „საპოლიტიკო ეკონომიკის კრიტიკა“; ეს უკანასკნელი შრომა მოთავსებულია კრებულში „ივერიის ბიბლიოთეკა“ (პრემია № 4). ამავე 1905 წ. ბათუმში გამოიცა კ. მარქსის „ვაჭრობის თავისუფლება“, რომელშიც ავტორი მოხსენებულია მხოლოდ ინიციალებით (კ. მ.). 1906 წელს ბათუმშივე გამოიცა ქართული თარგმანი. კ. მარქსის წიგნისა: „საქირაო შრომა და კაპიტალი (საწარმოვთ ურთიერთობა)“, ხოლო 1907 წ. იქვე გამოიცა კ. მარქსის ნაშრომი „ურიათა კითხვა“.

კავკასიის კავშირის კომიტეტმა 1905 წ. გამოაქვეყნა ვ. ლენინის შრომები: „რევოლუციონური დემოკრატიული

<sup>1</sup> Ленин, Сочинения XVI, 132.

<sup>2</sup> „ქართული წიგნი“. ბიბლიოგრაფია, 1941. ტ I, 301—302.

დიქტატურა პროლეტარიატისა და გლეხეცაცობისა” და „სოფულის გაჭირვებულ გლეხეცაცობას“. ამხანაგ ს ტალინის შრომები და პერიოდში აქ თითქმის ყოველთვის ერთდროულად იმპედიტოდა როგორც ქართულ. ისე რუსულ ენებზე.

კ. მარქსის, ფრ. ენგელსის და ვ. ლენინის შრომები თუ 1905 წ. რევოლუციამდე ქართულ. ენაზე უმეტესად მხოლოდ ცალკე წიგნაკების ან ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული სტატიებისა თუ ნაწყვეტების სახით იძექდებოდა, ამიერიდან ჩვენ საქმე გვაქვს უკვი მათი ცალკეული შრომების წიგნებად თუ ბროშურებად გამოქვეყნების ფაქტებთან; არსებითად მხოლოდ ამ დროიდან იწყება მარქს—ენგელს—ლენინის თხზულებათა თუმცა არასისტეპატური, მაგრამ მაინც შესამჩნევი რაოდენობით თარგმნა ქართულ ენაზე.

ამხანაგ ი. ს ტალინის ქართულად დაწერილი შრომებითა და მარქს—ენგელს—ლენინის თხზულებათა ქართული თარგმანებით იწყება ქართულ ენაზე ნამდვილად მარქსისტული მეცნიერული ტერმინითა და მიზანითა შემუშავება<sup>1</sup>.

მაგრამ როგორც ქართულ, ისე სსრ კავშირის ხალხთა ენებზე მარქსისტული მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებისა და თვით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თხზულებების სისტემატური თარგმნა-გამოცემის საქმეს მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროიდან<sup>2</sup>.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თხზულებების ფართო მასშტაბით თარგმნა-გამოცემა დაიწყო 1918 წლიდან, როდესაც ამ საქმის ინციატორად გამოვიდა ეროვნების საქმეთა კომისარიატი, რომლის

<sup>1</sup> ამ მხრივ ი. ს ტალინის თხზულებათა მნიშვნელობაზე სპეციალურად გვექნება მსჯელობა.

<sup>2</sup> 3. გ გ შ ვ ი ლ ი, „ეკონომიკური მეცნიერება საბჭოთა საქართველოში“ („მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 25 წლის მანძილზე“, VI, ეკონომიკა), 1947. თბ.

სათავეში იდგა ამხანაგი ი. სტალინი. პირველ ხანებში ვანსაკუთრებით ხშირად იცემოდა კ. მარქსისა და ფრანგ-ნა, გელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, რომელიც მსოფლიოს ხალხთა უმრავლესობის ენაზე ჩვეულებრივ იყო პირველი მარქსისტული გამოცემა.

სახალხო მეურნეობის აღღენის პერიოდში ეს საქმიანობა თანდათან უფრო ფართო გასაჭანს ლებულობდა. ამ შეჩივ აღსანიშნავია, კერძოდ როლი 1924 წელს დაარსებულ „სსრ კავშირის ხალხთა ცენტრალური გამომცემლობისა“ (დაიხურა 1931 წ.). თავისითავად ცხადია, უდიდესი მნიშვნელობისა იყო სსრ კავშირის საბჭოების XI ყამითობის დადგენილება ვ. ლენინის თხზულებათა სსრ კავშირის უცელა ხალხთა ენებზე გამოცემის შესახებ. ამ დადგენილების თავდაპირველად ნავარაუდევი მასშტაბით განხორციელება დაიწყო განსაკუთრებით 1931 წლიდან, მას შემდეგ, როდესაც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ძირითად თხზულებათა სსრ კავშირის ხალხთა ენებზე - თარგმნა-გამოცემის შესახებ. ამ დადგენილების განხორციელებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ნაციონალურ რესპუბლიკებში ამ დროისათვის უკვე მოიპოვებოდა მთარგმნელ-რედაქტორთა ქვალიფიციური კადრები<sup>1</sup>.

განსაკუთრებით დიდ სიძნელეებს აწყდებოდნენ მთარგმნელ-რედაქტორები იმ ეროვნებათა ენებზე თარგმნის დროს, რომელთაც არ ჰქონდათ სათანადო განვითარებული ლიტერატურული კულტურა. ასეთს პირობებში მეტად ძნელი იყო მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მიერ შემოღებულ და დადგენილ მეცნიერულ ცნებათა ზუსტად გადამცემი ტერმინების შექნა-შერჩევა. ვლაპარაკობ პირდაპირ შექმნაზედაც ტერმინებისა, რამდენადაც კლასიკოსთა უაღრესად ზუსტი, მკაცრად ჩამოყალიბებული აზრების, ცნებების მატარებელი ტერმინთა სალაპარაკო ენაში ხმარებული მონათესავე სიტყვებით შეცვლა გაუმარ-

<sup>1</sup> ი. „Решения партии о печати“, 1941. №., 144—145.

თლებელია და ხშირიდ კიდევ ყოვლად შეუწყნარებელიც რამდენადაც ამას მიღებებართ გაუტრალოებისა და ვულგარიზაციისაც. ცირისაცნ. ისეთი შემთხვევების არა ერთი მაგალითია აღნიშნული, მაგალითად, ტაჯიკურ, კუმიქურ და სხვ. ენებზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თარგმანებში:

არაიშიათი იყო შემთხვევები, როდესაც კლასობრივი მტრები განზრაც ამახინჯებდნენ, აყალბებდუნენ სათარგმნ ტექსტებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწერებისა?

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თხზულებების ქართულად გამოცემის საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული. [REDACTED] მარქსიზმის კლასიკოსთა თხზულებების ქართულად გამოცემის საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თხზულებების, როგორც რუსულ ისე ნაციონალურ ენებზე თარგმნა-გამოცემის საქმეს ხელიძღვანელობს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს—ენგელს—ლენინის ინსტიტუტი და მისი რეპუბლიკური ფილიალები. რა თქმა უნდა, ამ ინსტიტუტების ფილიალების მთარგმნელ-რედაქტორთათვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია გაცნობა-გაზიარებას იმ კეშმარიტად დიდი გამოკლილებისა, რაც ცენტრალურ ინსტიტუტშია დაგროვილი მარქს—ენგელსის თხზულებათა რუსულ ენაზე თარგმნის საქმეში.

უდიდესი მიშვნელობა აქვს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დაღვენილებას ამხანაგ ი. სტალინის თხზულებათა კრებულის გამოცემის შესახებ. ამხანაგ ი. სტალინის თხზულებათა როგორც სსრ კავშირის, ისე სხვა ხალხთა ენებზე თარგმნა უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენაა ამ ხალხთა კულტურულ და მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამხანაგ ი. სტალინის თხზულებათა ქართულად თარგმნაგამოცემის მხრივ ჩვენ უდავოდ დიდი წარმატებები გვაქვს.

<sup>1</sup> №. жур. „Марксистско-Ленинская литература“, 1937, № 2, стр.—28—33.

<sup>2</sup> Марксистско-Ленинская литература<sup>а</sup>, 1939, № 6.

საერთოდ პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებულ-  
მა ლონისძიებებმა უზრუნველჰყეს მარქსიზმ-ლენინიზმის კულტი-  
სიკოსთა თხზულებების როვორც რუსულ, ისე ნაციონალურ  
ენებზე თარგმნისა და მასობრივი ტირაჟით გამოცემის საქმე,  
რათა მეცნიერული ცოდნის ეს დაუშრეტელი წყარო, ხელმი-  
საწვდომი გამზღვიული ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშენო-  
მელისათვის. ეს აუცილებელი იყო ჩვენი სინამდვილის ძე-  
გამოსილი განვითარებისა და კომუნისტური საზოგადოების  
მშენებლობის განუხრელ გამარჯვებათათვის.

ამხანაგი ი. სტალინი გვასწავლის, რომ „არის მეც-  
ნიერების ერთი დარგი, რომელის ცოდნა საეთეროებულო უნ-  
და იყოს მეცნიერების ყველა დარგის ბოლშევიკებისათვის,—  
ეს არის მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება საზოგადოების  
შესახებ, საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ,  
პროლეტარული რევოლუციის განვითარების კანონების შე-  
სახებ, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონე-  
ბის შესახებ, კომუნიზმის გამარჯვების შესახებ...“

„პარტიული პროპაგანდის ამოცანა, კადრების მარქსის-  
ტულ-ლენინურად აღწრდის ამოცანა იმაში მდგომარეობს,  
რომ დავეხმაროთ მუშაობის ყველა დარგის ჩვენს კადრებს  
დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას საზოგადოე-  
ბის განვითარების კანონების შესახებ“<sup>1</sup>.

ცხადია, კადრებისათვის ამ მხრივ დახმარების გაწევის  
უმნიშვნელოვანეს ლონისძიებას წარმოადგენს მარქსიზმ-  
ლენინიზმის კლასიკოსთა თხზულებების მასობრივი გამოცემა  
მკითხველი საზოგადოებრიობის ფართო გასებისათვის ამ თხზუ-  
ლებათა აღვილად ხელმისაწვდომ სავნად გადაქცევა. თუ  
რამდენად კოლოსალურია ამ მიმართულებით სსრ კავშირში  
განხორციელებული ლონისძიებანი, საილუსტრაციოდ საკმარი-  
სია ითქვას, რომ 1917—1948 წწ. გამოცემულ მარქს—ენგელს—  
ლენინ—სტალინის თხზულებათა საერთო ტირაჟი შეადგენს 754  
მილიონ ეგზემპლარს და გამოცემულია 101 ენაზე<sup>2</sup>. კერძოდ

<sup>1</sup> ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, 1939 თბ. გვ. 741—742.

<sup>2</sup> დაწვ. იხ. „Известия“, 1949, № 15; ჩ. С. მ., СССР, 1947, стр.  
1646—1647; „Большевик“, 1949 წ. № 1 стр. 83—95.

საქართველოში, ქართულ ენაზე 1921—1948 წწ. გამოქვეყნდნებულ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თხზულებათა საერთო ტირაჟი 7 მილიონამდე აღწევს<sup>1</sup>.

\* \* \*

5. „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ არის მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა თხზულებებიდან მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ადრე გავრცელებული ნაწარმოები. თვით ფრ. ენგელსი, ჯერ კიდევ 1888 წ., „მანიფესტის“ ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობაში აღნიშნავდა, რომ „ამჟამად მანიფესტი უეჭველად წარმოადგენს მთელი სოციალისტური ლიტერატურის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ, უაღრესად ინტერნაციონალურ ნაწარმოებს, სერობობრამას, რომელიც ოღიარებულია მილიონობით მუშების მიერ ციმბირიდან კალიფორნიამდე“<sup>2</sup>.

1948 წლის დამდეგში, ე. ი. პირველად გამოქვეყნდნების ასი წლისთავისათვის, მარქს—ენგელს—ლენინის ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით, „მანიფესტი“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა მსოფლიოს 36 ქვეყანაში 71 ენაზე, ხოლო სულ კი გამოიცა 750-ჯერ<sup>3</sup>. ცხადია, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ განსაკუთრებით ფართოდა გავრცელებული საბჭოთა კავშირში, სადაც 1917—1947 წწ. იგი გამოიცა 220-ჯერ 51 ენაზე (მათგან 10 უცხოურ ენაზე) — 6.000.000-ზე მეტი საერთო ტირაჟით.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ თარგმნა ფრიად როსული და ძნელი საქმეა. ფრ. ენგელსი 1883 წელს ზორ-

<sup>1</sup> პლ. ხ გ ნ დ ა ძ ე, „საქართველოს წიგნი 1921—1948“ (სტატისტიკულ, ნარკოლეგი), 1949. თბ., გვ. 37.

<sup>2</sup> კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, 1948. თბ. გვ. 19.

<sup>3</sup> „Советская книга“, 1948. № 2, стр. 13.

გეს სწერდა, რომ „მანიფესტის“ თარგმნა საშინლად ძნელია<sup>1</sup>. „მან ფესტის“ პირველი რუსული თარგმანი გამოიცა 1869 წ. უნივერსიტეტის მიერ, თუ რამდენად შეიძლება თარგმანი დასკილდეს ორიგინალს, როდესაც ავტორის შეხედულებები უცხოა მთარგმნელისათვის, როდესაც ეს უკანასკნელი ავტორის მიერ განვითარებულ მსოფლი მხედველობის მიმართ აშეარად თუ ფარულად მტრულ განწყობილებაშია<sup>2</sup>. ბაქუნინს ვერ მოუხერხებია სწორად გადმოეცა რუსულად რიგი პრინციპული შინობების ტერმინი. მაგალითად, *Produktionsverhältnisse* მას უთარგმნია ტერმინით ყისია წარმოსაქმი. მაშინ როდესაც კ. მარქსისა და ფრ. ენგელს ს აქ მხედველობაში აქვთ არა „წარმოების პირობები“, არამედ წარმოებრივი (წარმოებითი, საწარმოო) ურთიერთობანი, ე. ი. ის ურთიერთობანი, რომელიც მყარდება აღამიანთა შორის საზოგადოებრივი წარმოების პროცესში. „მანიფესტის“ ტერმინი ზუსტ მეცნიერულ ცნებას, აზრს, შეიცავს, ხოლო ბაქუნინის მიერ იგი შეცვლილია ცნების მხრივ ფრიად ფართო გაგების (ყველაფრის, რაც-კი წარმოებასთან დაკავშირებულია) შემცველი ტერმინით.

გასაგებია, თუ რაოდენ გაუგებრობათა გამოწვევა შეუძლია ტერმინთა ამ „უმიტკივნეულო“ შეცვლას „მანიფესტის“ მკვეთრ, კრისტალივით ჩამოსხმულ და ნათელ აზრთაწყობაში. ბაქუნინი ამასთანავე ერთ რომელიმე გერმანულ ტერმინს ხშირად თარგმნიდა სხვადასხვა რუსული ტერმინით, განსაკუთრებით დამახინჯებულად უთარგმნია მას ის ადგილები, ხადაც განვითარებულია თეორია პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობისა, რაც პროლეტარიატის დიქტატურით უნდა დამთავრდეს, და პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობის შესახებ. მაგალითად, უკანასკნელ

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, XXVII, 322.

<sup>2</sup> „Манифест коммунистической партии“ в русских переводах 41—67.

შემთხვევაში ბაქუნინის თარგმანში ლაპარაკია „პროლეტა-  
რიატის მეშვეობით პოლიტიკური ხელისუფლების დაცუ-  
რობაზე“,

მაგრამ თუ 1869 წ. „მანიფესტის“ რუსულად თარგმნის  
ფაქტი, თვით კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის სიტყვე-  
ბით, „დასავლეთის ადამიანთა თვალში მარტოოდენ ლიტერა-  
ტურულ კურიოზიად თუ შეიძლებოდა ყოფილიყო მისაჩინევი“,  
ისინი უკვე დიდ იმედებს ამყარებდნენ რუსეთზე, როდესაც  
1882 წ. უენევაში გამოიცა გ. პლეხანოვის მიერ შესრუ-  
ლებული „მანიფესტის“ ახალი რუსული თარგმანი, რომლის  
წინასიტყვაობაშიც აკტორები აღნიშნავენ, რომ „რუსეთი  
წარმოადგენს ევროპის რევოლუციური მოძრაობის მოწინავე  
რაზმს“<sup>1</sup>. გ. პლეხანოვის ხსენებული თარგმანი არის არსე-  
ბითად რუსულ ენაზე პირველი და თანაც იმ დროისათვის  
წარმატებით შესრულებული მარქსისტული გამოცემა „მანი-  
ფესტის“. მიუხედავად ამისა მისი თარგმანი უნაკლო როდია.  
და ეს ნაკლოვანებანი ზოგან იქამდეც-კი მიდის, რომ გ. პლე-  
ხანოვმა ტერმინის „Produktionsverhältnisse“-ს რუსულ შესა-  
ტყვისად დასტოვა ბაქუნინისეული „условия производства“.

გ. პლეხანოვის თარგმანის მეორე შესწორებული  
გამოცემა გამოვიდა 1900, 1903 და 1905 წწ.. რუსულად გა-  
მოიცა კიდევ პოსეს თარგმანი. პოსე ბრალს სდებს გ. პლე-  
ხანოვს „მანიფესტის“ შესწორებაში, მაგრამ თვითონ გამო-  
დის ოპორტუნისტული პოზიციებიდან. საკმარისია ალინიშ-  
ნოს, რომ პოსეს თარგმანში მიჩქმალულია „მანიფესტის“  
დიადი იდეა პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. 1906 წ.  
რუსულად გამოიცა ვოროვას სკონს (პ. ორლოვსკის ფსევდო-  
ნიმით) თარგმანი. ვოროვსკიმ გამოასწორა პლეხანოვის მიერ  
დაშვებული რიგი უსწორობანი. იგი კერძოდ „Produktionsver-  
hältniss“-ის სწორ რუს. შესატყვის „производственные от-  
ношения“-ს ატარებს მთელი თანმიმდევრობით და ა. შ.

<sup>1</sup> კ. მარქსი და ფრ. ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანი-  
ფესტი“, 1948. თბ. გვ. 13.

შიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ვოროვსკის თარგმა-  
ნიც არაა სრულყოფილი, მან თავი ვერ დააღწია მაგ. „Pro-  
duktionsweise“-ს პლეხანოვისეულ შესატყვის „способы про-  
изводства“; აქ თითქოს უმნიშვნელო რამაა. მხოლოდ მრავ-  
ლობით რიცხვშია იყვანილი ტერმინი, მაგრამ იგი კონტექ-  
სტში, სადაც იღნიშნულია, რომ ბურეუაზია აიძულებს ყველა  
ერს მიიღოს ბურეუაზიული „წარმოების წესები“, ბადებს  
დიდ გაუგებრობას: შეიძლება ისე წარმოიდგინოს მკითხველ-  
მა, რომ ლაპარაკია არა გარკვეულ საზოგადოებრივ ფორმა-  
ციაზე, არამედ სხვადასხვა „წარმოების წისებზე“ — სიტყვის  
ტექნოლოგიური გაერთიანები (მაგალითად, მანუფაქტურულ და-  
სხვ. წარმოების წესებზე).

1917—1921 წწ. მრავალჯერ გამოიცა „მანიფესტი“ ვოროვსკისა და განსაკუთრებით პლეხანოვის თარგმანი.  
1921—1932 წწ. იბეჭდებოდა მხოლოდ პლეხანოვის თარგმა-  
ნი, რაც მნიშვნელოვნად „შეალამაზა“, ე. ი. დაამახინვა რია-  
ზანოვმა. 1882 წლისთვის პლეხანოვის თარგმანი მიღწევა იყო,  
მაგრამ 1921—1932 წწ. რიაზანოვის რედაქციით ამ თარგ-  
მანის გამოცემები, ცხადია, უკვე ფრიად ჩამორჩებოდა რუსუ-  
ლი მარქსისტული ტერმინოლოგიის დიდ მიღწევებს.

„მანიფესტის“ რუსულ თარგმანთა შორის შემდგომ სა-  
ფეხურად მიჩნეულია 1932 წ. ვ. ა. დორატსკის რედაქციით შესრულებული გამოცემა, რომელსაც საფუძვლად დაედო  
ვოროვსკის თარგმანი. ყველა წინანდელ გამოცემებთან შე-  
დარებით აქ მიღწეულია ის უმნიშვნელოვანესი წარმატება,  
რომ გამოყენებულია „მანიფესტის“ ცალკე ნაწყვეტების ლე-  
ნინისეული თარგმანები. ამ მხრივ ლენინისეული ტექსტები  
კიდევ უფრო ზუსტადაა აღდგენილი 1938 წ. რუსულ გამო-  
ცემაში.

ვ. ადორატსკის გამოცემაში გამოყენებულია, მაგალი-  
თად, ლენინისეული ტერმინი „მანიფესტის“ ერთ-ერთი უმნი-  
შვნელოვანესი ცნების თარგმაში: Erhebung des Proletariats  
zur herrschenden Klasse — превращение пролетариата в

«господствующий класс»<sup>1</sup>; ам ординарные архитекторы и инженеры, бывшие рабочими, «возвышение пролетариата до положения господствующего класса».

Амбогард, архитекторы и инженеры становятся рабочими, токарь становиться бывшим рабочим и т. д. Господствующий класс становится рабочим классом, рабочий класс становится господствующим классом, а рабочий класс становится рабочим классом. Такое же движение происходит в других отраслях промышленности и сельского хозяйства.

3. Адмирал Трифонов в своем выступлении на конференции по вопросам социального строительства в 1939 году сказал: «Мы должны создать рабочий класс, который будет состоять из рабочих, инженеров, техников, ученых, врачей, педагогов, художников и т. д.». В 1948 году он говорил: «Мы должны создать рабочий класс, состоящий из рабочих, инженеров, техников, ученых, врачей, педагогов, художников и т. д.». Таким образом, рабочий класс становится рабочим классом, а рабочий класс становится рабочим классом. Такое же движение происходит в других отраслях промышленности и сельского хозяйства.

Ниже приводится статья Альфреда Капеля «Марксизм и социальная политика», опубликованная в журнале «Советская Россия» в 1939 году. В статье Капель пишет: «Мы должны создать рабочий класс, состоящий из рабочих, инженеров, техников, ученых, врачей, педагогов, художников и т. д.». Таким образом, рабочий класс становится рабочим классом, а рабочий класс становится рабочим классом. Такое же движение происходит в других отраслях промышленности и сельского хозяйства.

<sup>1</sup> См. В. Ленин, Сочинения, XXI, 334.

1932 და 1939 წწ. ახალ-ახალი შედარება-რედაქციისა, 1948 წლის საიუბილეო გამოცემისათვის ტექსტის სამზადისში კი-დე-დევ აღმოჩენილ იქნა უკანასკნელ რუსულ თარგმანში რამდენიმე ფრიად სერიოზული შეცდომა.

კომუნისტური საზოგადოების დამახასიათებელი ფორმულირება მანიფესტისა: "...ist alle Produktion in den Händen der assoziierten Individuen konzentriert..."<sup>1</sup>. პლეხანოვის მიერ ნათარგმნია: "...Все производство сосредоточится в руках ассоциаций..."; ვოროვსკის მიერ: "...в руках об'единенных в союзы индивидуумов..."; ვ. ადორიატსკის რედაქციაში: "...в руках об'единенных в коллектив индивидуумов"; და ბოლოს 1939 წ. მ. მიტინის რედაქციით გამოსულ გამოცემაში: "...в руках об'единенных в ассоциации индивидуумов...".

ამგვარად ყველგან, გარდა ადორიატსკის შედარებით უფრო ზუსტი თარგმანისა, ლაპარაკია ასოციაციებზე (მრავლობით რიცხვში), ე. ი. მრავალ ცალკეულ ასოციაციაზე. ამასთანავე ცხადი უნდა იყოს რომ, კ. მარქსისა და ფრ. ენგელსს მხედველობაში აქვთ ერთიანი ასოციაცია, რომელიც შეცვლის ძველ ბურжуაზიულ საზოგადოებას, თავის კლასებითა და კლასობრივი წინააღმდეგობებით. 1948 წლის გამოცემაში „მანიფესტის“ ხსენებული სიტუაციები ასე იყოთხება: "...все производство сосредоточится в руках ассоциации индивидов..."<sup>2</sup>. ამგვარად, ტერმინი „ასოციაცია“ აქ უკვე სწორადაა გადმოცემული—მხოლოდით რიცხვში.

აღსანიშნავია, რომ ამხანაგ ი. სტალინის ცნობილ შრომაში „ანარქიტემი თუ სოციალიზმი“ (1906—1907 წწ.) კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის თხზულებათაგან („ფილოსოფიის სილატაკე“; „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“) მოყვანილ ციტატებში ტერმინი „ასოციაცია“ ცველგან მხოლოდით რიცხვშია ხმარებული. მაგალითად: „მუ-

<sup>1</sup> 1941 წ. მოსკოვური გამოცემა, გვ. 50.

<sup>2</sup> კ. მარკს და ფ. ენგელს, „Манифест...“ 1948 წ. მ. 79—80.



შითა კლასი განვითარების მსვლელობაში ძეველი ზურქუშის ული საზოგადოების ნაცელად შექმნის ისეთ ასოციაციას, რომელიც გამორიცხავს კლასებს და მათს დაპირისპირებას...<sup>1</sup> ქვემოთ კიდევ ლაპარაკია კომუნისტურ საზოგადოებაზე, როგორც „მწარმოებელთა თავისუფალი და თანასწორი ასოციაციის საფუძველზე“ წარმოების ასლებურიდ მოწყობის შესახებ<sup>2</sup>.

რაც შეეხება „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ქართულ თარგმანებს, აქ კი ყველგან ეს ტერმინი მოცემულია მრავლობით რიცხვში<sup>3</sup>: კერძოდ, უკანასკნელ გამოცემაში ვკითხულობთ: „როდესაც განვითარების მსვლელობაში მოასპობა კლასთა განსხვავება და ყველა წარმოება ასოციაციაზე მი (კურსივი ჩვენია—პ. გ.) გაერთიანებულ პიროვნებათა ხელში მოიყრის თავს, მაშინ საჯარო ძალაუფლება დაკარგავს თავის პოლიტიკურ ხასიათს“<sup>4</sup>.

\* \*

6. ამრიგად, ჩვენ უკვი ვადაედით „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ქართულ თარგმანთა განსილვაზე<sup>5</sup>; უადგილობისა გამო ამ მხრივაც მხოლოდ რამდენიმე მაგალითით შემოვიდარგლებით.

„მანიფესტის“ რუსულ ენაზე თარგმნა-გამოცემის ისტორია ასე ნათლად წარმოგვიდგენს როგორც რუსული მარქსისტული ტერმინოლოგიის განვითარების, მაშასადამე, ორიგინალის შესაბამის ტერმინთა შექმნის, საერთოდ რუსულ შესატყვისთა თანდათანი დაზუსტების, ისე ამ სფეროში იდეოლოგიური ბრძოლის მთელ სურათს.

<sup>1</sup> ი. სტალინი, თხზულებანი, 1941. თბ. II. გვ. 337.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 357; იბ. აგრ. რუს. გამოც. გვ. 359 და 360.

<sup>3</sup> 1905 წ. გვ. 41; 1917 წ. გვ. 32; 1919 წ. 45—47; 1923 წ. გვ. 26; 1928 წ. გვ. 50; 1933 წ. გვ. 49; 1940 წ. გვ. 51.

<sup>4</sup> „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, 1948. გვ. 77.

<sup>5</sup> იბ. ფ. გოგიჩაშვილის „აკომუნისტური პარტიის მანიფესტის ქართული თარგმანები“. (ეკონ. ინსტ. შრომები, IV, 185—202).

ჩვემოთ ჩვენ შევწყდებით ზოგიერთი ანალოგიური საა-  
ლუსტრაციო მასალა წარმოვადგინოთ „მანიფესტის“ ქართუ-  
ლი და თარგმნა გამოცემის მაგალითზე. შესაღარებელი მასალა  
ჩვენ ამოღებული გვაქვს 1905, 1917, 1919, 1923, 1928, 1933.  
1940 და 1948 წ. გამოცემათაგან.

შედარების თვალსაჩინოებისათვის ჩვენ მოგვყავს ჯერ  
ორიგინალის სიტყვები, შემდეგ მისი უკანასკნელი (1948 წ.)  
რუსული თარგმანი და ბოლოს შესაბამისი ადგილები ქართუ-  
ლი გამოცემებიდან. როდესაც სხვადასხვა ქართულ გამოცე-  
მათა ტექსტი ერთმანეთს ემთხვევა ერთადვე გვაშვს დასახე-  
ლებული.

I. Jede dieser Entwicklungsstufen der Bourgeoisie war  
begleitet von einem entsprechenden politischen Fortschritt<sup>1</sup>.

Каждая из этих ступеней развития буржуазии соп-  
ровождалась соответствующим политическим успехом.

ა. ბურეუაზის განვითარების თვითეულ ამ საფეხურს  
თან ახლდა მისი შესაფერი პოლიტიკური განვითარება (1905 წ.  
და 1917 წ. გამოც. გვ. 9).

ბ. ბურეუაზის განვითარების თვითეულს ამ საფეხურ-  
თავანს თან ახლდა სათანადო პოლიტიკური განვითარება.  
(1923 წლ. გვ. 71).

გ. ბურეუაზის განვითარების ყოველ ამ საფეხურს თან ახ-  
ლდა შესაფერი პოლიტიკური პროგრესი (1919წ. გვ. 18., 1928 წ.  
და 1933 წ; გამოც. გვ. 20; 1940 წ. გვ. 28; 1948 წ. გვ. 46).

ამ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს, ცხადია, არა სტი-  
ლისტური ვარიაციები მოყვანილი ამონაწერებისა, არამედ  
მათი აზრობრივი მხარე.

კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის მთელი მოძღვრების აზრით  
ბურეუაზიული რევოლუციებით მთავრდება ბურეუაზიული  
საზოგადოების განვითარების პოლიტიკურად პროგრესული  
როლი. თავისი განვითარების შემდგომ მსვლელობაში ბურ-

<sup>1</sup> „მანიფესტის“ ორიგინალიდან ციტატი ყველგან მოგვყავს 1941 წ.  
მოსკოვური გამოცემის მიხედვით.

ეუაზიული პოლიტიკური წყობილება პროგრესულიდან რეაქ-  
ციული ხდება.

ხოლო „მანიფესტის“ ყველა ქართულ თარგმანში, თვით  
1948 წლის საიუბილეო გამოცემაშიც, ლაპარაკია ბურეუაზი-  
ის კლასის სისტემატურ პოლიტიკურ განვითარებაზე  
და პროგრესზე. ამასთანავე გერმ. Fortschritt მოცემულ  
კონტრექსტში მაინც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება  
ითარგმნოს არც განვითარებად და არც პროგრესიდ. „მა-  
ნიფესტის“ ავტორები ლაპარაკობენ რა ზემოთ ბურეუა-  
ზიული საზოგადოების მეურნეობრივი განვითარების საფეხუ-  
რებზე, მხოლოდ აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ „ბურეუაზიის  
განვითარების თითოეულ ამ საფეხურს თან ახლდა შესაბა-  
შისი პოლიტიკური წარმატება“, ე. ი. აღნიშნავენ ბურ-  
ეუაზიული საზოგადოების ეკონომიკური განვითარების საფე-  
ხურებთან დაკავშირებული ბურეუაზიის კლასის პოლიტიკურ  
წარმატებებს, და, რა თქმა უნდა, არა საერთოდ მის მუდმივ  
პროგრესულობას, რაც ეწინააღმდეგება იტორიულ სინამ-  
დვილეს. ცხადია, უკანასკნელი რუსული ფამოცემები სწორად  
გამოხატავენ ორიგინალის აზრს, როდესაც აქ „პროგრეს“-ი  
„უცოხ“-ით შეცვალეს. ასევე უნდა გასწორდეს ახალი ქარ-  
თული გამოცემაც.

აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ინგლისურ გამოცემაში  
(1888 წ.), რომელიც თვით ფრ. ენგელსის რედაქციითა თარგ-  
მნილი, გერმ. Fortschritt გადმოცემულია ინგლ. advance-თ,  
რაც სწორედ წარმატებას, წინ წაწევას უდრის. აღსანიშნავია  
ის მომენტიც, რომ ამ სიტყვის (Fortschritt—advance) შემდეგ  
ინგლისურ გამოცემაში ჩამატებულია სიტყვები „ამ კლასი სი-  
სა“, ცხადია, კერძოდ იმის ნათელსაყოფად, რომ აქ ლაპარა-  
კია არა საერთოდ ბურეუაზიული საზოგადოების, არამედ  
კერძოდ ბურეუათა კლასის პოლიტიკურ წარმატებებზე.

II. Die Proletarier haben nichts von dem ihrigen zu si-  
chern, sie haben alle bisherigen Privatsicherheiten und Pri-  
vatversicherungen zu zerstören.

У пролетариев нет ничего своего, что надо было бы им охранять, они должны разрушить все, что до сих пор охраняло и обеспечивало частную собственность.

а. Знаменитое в то время альбоме газеты «Народная газета», изданное в 1917 году (№ 24), гласило: «Советская власть разрушает частную собственность».

б. Знаменитое в то время альбоме газеты «Народная газета», изданное в 1919 году (№ 22), гласило: «Советская власть разрушает частную собственность».

г. Знаменитое в то время альбоме газеты «Народная газета», изданное в 1923 году (№ 79), гласило: «Советская власть разрушает частную собственность».

д. Знаменитое в то время альбоме газеты «Народная газета», изданное в 1940 году (№ 39), гласило: «Советская власть разрушает частную собственность».

е. Знаменитое в то время альбоме газеты «Народная газета», изданное в 1948 году (№ 60), гласило: «Советская власть разрушает частную собственность».

Амьетон, Картулин и другие, тщательно изучавшие историю СССР, утверждают, что в 1948 году в СССР было предпринято попытка разрушения частной собственности. В частности, в 1948 году в Германии было предпринято попытка разрушения частной собственности.

Амьетон, Картулин и другие, тщательно изучавшие историю СССР, утверждают, что в 1948 году в Германии было предпринято попытка разрушения частной собственности.

III. Die Kommunisten sind also praktisch der entscheidende immer weiter treibende Teil der Arbeiterparteien aller Länder...

Коммунисты, следовательно, на практике являются самой решительной, всегда побуждающей к движению вперед частью рабочих партий всех стран.

а. ამნაირად, კომუნისტები საქმით წარმოადგენენ ყველა ქვეყნის მუშათა პარტიების ყველაზე უფრო გაბედულ და ყოველთვის წინ მიმავალ ნაწილს (1905 წ. გვ. 28; 1917 წ. გვ. 23).

ბ. მაშასადამე, კომუნისტები პრაქტიკულად წარმოადგენენ მოელი ქვეყნის მუშათა პარტიების ყველაზე უფრო შეუპოვარს, მუდამ წინ მიმავალ ნაწილს (1923 წ. გვ. 81).

გ. მაშასადამე, კომუნისტები პრაქტიკულად წარმოადგენენ ყველა ქვეყნის მუშათა პარტიების ყველაზე უფრო შეუპოვარ, მუდამ წინ მისწრაფებულ ნაწილს (1919 წ. გვ. 35; 1928 წ. გვ. 37; 1933 წ. გვ. 37; 1940 წ. გვ. 42; 1948 წ. გვ. 64).

„მანიფესტის“ აღებული ადგილის ყველა ქართული თარგმანი ძლიერ უახლოედება ვოროვაკისა და პლეხანოვის თარგმანს; მაგრამ ეს რესული თარგმანები (1900 და 1906 წ. გამოც.) და, მაშასდამე, ქართული გამოცემებიც, სერიოზულად ამასინჯებენ ორიგინალის აზრს. „მანიფესტის“ ავტორები აცხადებენ (მოგვავს საკუთარი თარგმანი): „მაშასადამე, კომუნისტები პრაქტიკულად წარმოადგენენ ყველაზე უფრო შეუპოვარ, მუდამ წინ მისწრაფებისათვის აღმძერელ ნაწილს ყველა ქვეყნის მუშათა პარტიებისა“.

ამგვარად, აქ, ორიგინალში, ლაპარაკია არა მხოლოდ იმაზე, რომ კომუნისტები პრაქტიკულად წარმოადგენენ ყველა ქვეყნის მუშათა პარტიების ყველაზე უფრო შეუპოვარ და მუდამ წინ მისწრაფებულ ნაწილს, ნაწილს, რომელიც არა მხოლოდ თვითონ მიისწრაფვის წინ, არამედ ისეთ ნაწილს, რომელიც წინმსვლელობისათვის აღძრავს (თუ გნებავთ: აამოძრავებს) ყველა ქვეყნის მუშათა პარტიებს.

ძველ რესულ თარგმანებსა და ყველა ქართულ თარგმანში გერმ. „treibende“-ს შესაბამისი შესატყვისის გამოტოვებამ, როგორც ვხედავთ, დაამახინჯა „მანიფესტის“ ამ ადგილის

აზრი, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კორპორაციების წევნების ეპოქაში, როდესაც საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), სახალხო დემოკრატიისა და თვით ბურჟუაზიული ქვეყნების კომუნისტური პარტიები ბევრად უფრო მეტის მასშტაბით, ვინემ წინათ, აღძრავენ, ამოძრავებენ მუშათა პარტიებს წავიდნენ წინ და ზოგან კიდევ იმ ზომით, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ყველაზე უფრო პროგრესული მუშათა პარტიები ერთიანდებიან კიდევაც კომუნისტურ პარტიასთან.

IV. Kapitalist sein, heisst nicht nur eine rein persönliche, sondern eine gesellschaftliche stellung in der Produktion einnehmen.

Быть капиталистом — значит занимать в производстве не только чисто личное, но и общественное положение.

а. კაპიტალისტობა ნიშნავს წარმოებაში დაჭერას არა მარტო პირადის, არამედ აგრეთვე განსაზღვრული, საზოგადოებრივი მდგომარეობის (1905 წ. გვ. 30).

ბ. კაპიტალისტობა ნიშნავს წარმოებაში არა მარტო პირადის, არამედ აგრეთვე განსაზღვრული. საზოგადოებრივი მდგომარეობის დაჭერას (1917 წ. გვ. 24).

გ. კაპიტალისტად ყოფნა ნიშნავს არა მარტო წმინდა პირადულ, არამედ საზოგადოებრივ მდგომარეობის დაკავებას წარმოებაში (1919 წ. გვ. 37; 1928 წ. გვ. 39; 1933 წ. გვ. 39).

დ. კაპიტალისტობა ნიშნავს წარმოებაში არა მარტო წმინდა პირადი, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი მდგომარეობის დაკავებას (1923 წ. გვ. 82).

ე. კაპიტალისტად ყოფნა ნიშნავს არა მარტო წმინდა პირადი, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივ მდგომარეობას წარმოებაში (1940 წ. გვ. 44).

ვ. კაპიტალისტად ყოფნა ნიშნავს არა მარტო წმინდა პირადი, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი მდგომარეობის დაკავებას წარმოებაში (1948 წ. გვ. 66).

როგორც ვხედავთ, ძველი (1905 და 1917 წწ.) ქართული თარგმანის სტილი მეტად მძიმეა და ამდენადვე თვით

შინაარსობრივადაც იგი არაზუსტია. 1919, 1928, 1933 წელ  
გამოკემებს ეტყობა ერთგვარი გაუმჯობესება. აქ—eine reine-  
persönliche გადმოცემულია „წმინდა პირადულით“, მაშინ  
როდესაც ადრინდელ თარგმანებში გადმოცემული იყო შე-  
სატყვისით: „პირადის“; Kapitalist sein თარგმნილი იყო „კაპი-  
ტალისტობა“-დ, რასაც იმეორებს აგრეთვე 1923 წ. გამოცე-  
მაც. 1940 წ. გამოცემაში სულ დაკარგულია einnnehmen და  
ნაცვლად სიტყვებისა „საზოგადოებრივი მდგომარეობის და-  
კავებას“ იკითხება: „საზოგადოებრივ მდგომარეობას“.

მოცემული ადგილი აზრობრივად უდავოდ სწორადაა  
თარგმნილი 1948 წ. გამოცემაში, სადაც, როგორც ყველა  
სხვა ქართულ თარგმანშიც, ცილებულია პლეხანვის მიერ  
დაშვებული შეცდომა. პლეხანვისეულ რუსულ თარგმანში  
ლაპარაკია არა იმ მდგომარეობაზე, რომელიც კაპიტალისტს  
უკავია წარმოების პროცესში, ე. ი. თვით წარმოებაში  
(в производстве), არამედ იმ отношению производства,  
რაც ცხადია აბუნდოვანებს საერთოდ საზოგადოებრივი ანუ  
წარმოებრივი ურთიერთობის შესახებ მარქსის მოძღვრე-  
ბას.

V. Schafft aber die Lohnarbeit die Arbeit des Proletariers ihm Eigentum? Keinesweges. Sie schafft das Kapital...

Но разве наемный труд, труд пролетария, создает ему собственность? Никоим образом. Он создает капитал...

ა. მაგრამ განა მოქირავე მუშათა, პროლეტართა შრო-  
მა მათ საკუთრებას აძლევს? არასოდეს, მათი შრომით იქმნე-  
ბა საკუთრება (1905 წ. გვ. 29; 1917 წ. გვ. 24).

ბ. მაგრამ განა დაქირავებული შრომა, შრომა მუშისა  
ქმნის მისთვის საკუთრებას? სრულიადაც არა. ის ქმნის კა-  
პიტალს... (1919 წ. გვ. 36; 1928 წ., გვ. 39; 1938 წ.  
გვ. 38).

გ. მაგრამ განა დაქირავებული შრომა, პროლეტარის  
მუშაობა მას საკუთრებას აძენინებს? არასოდეს. მისი შრომა  
ჰქონის კაპიტალს (1923 წ. გვ. 82).

დ. მაგრამ განა დაქირავებული შრომა, პროლეტარისტი შრომა უქმნის მას საკუთრებას? სრულიადაც არა. იგი ჰქმნის კაპიტალს... (1940 წ. გვ. 43; 1948 წ. გვ. 65).

„მანიფესტის“ აზრი აქ ისაა, რომ კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში დაქირავებული შრომა მის მიერ შექმნილი პროდუქტის სახით ქმნის საკუთრებას არა თავის-თვის, არა პროლეტარისათვის, არამედ კაპიტალისტისათვის და რომ მუშის მიერ შექმნილი პროდუქტი უპირისპირდება თვით მუშას როგორც კაპიტალი, რაც თავის მხრივ, ისევ დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის იარაღად გამოიყენება.

1905 და 1917 წწ. ქართულ გამოცემებში „მანიფესტის“ აღნიშნული ადგილი წარმოადგენს რამდენადმე თავისუფალ თარგმანს. თანაც სტილისტურად მძიმეა და ტერმინი „მოქირავე მუშა“ უკვე დაძველებულია. რაც შეეხება 1919, 1928 და 1938 წწ. გამოცემებს უნდა ითქვას, რომ აქ პირდაპირ დამახინჯებულია „მანიფესტის“ აზრი. გერმ. die Arbeit des Proletariers აქ გადმოცემულია როგორც „შრომა მუშისა“, მაშინ როდესაც „მანიფესტში“ ლაპარაკია არა საერთოდ მუშაზე, არამედ პროლეტარზე, კაპიტალისტური ეპოქის პროლეტარზე, ე. ი. ისეთ მუშაზე, რომელიც მოქლებულია საკუთრებას და რომელსაც მის მიერ წარმოების პროცესში შექმნილი პროდუქტი უპირისპირდება როგორც კაპიტალი.

რაც შეეხება 1923 წ. ქართულ გამოცემას ის, აშენარად უტყობა, მომდინარეობს პლეზანოვისეულ რუსული თარგმანი-დან, სადაც ლაპარაკია უკვე არა შექმნაზე, არამედ შეძენაზე საკუთრებისა. უკანასკნელი ქართული გამოცემები (1940 და 1948 წწ.) სწორად გადმოგვცემენ ორიგინალის აზრს.

VI. დასასრულ კიდევ ერთი შედარება. „მანიფესტის“ ტექსტის პირველი ფრთიანი სიტყვებია:

Ein Gespenst geht um in Europa das Gespenst des Kommunismus.

Призрак бродит по Европе—призрак коммунизма  
(тот самый, что и в Европе. та́ржма бешо).

а. Европа́мба́ши га́мми́нда са́ши́шари а́хрди́лди—ахрди́лди  
комуни́змиса (1905 ф. гг. 5; 1917 ф. гг. 6).

б. а́хрди́лди да́дис ევропа́мба́ши—ахрди́лди коммуни́змиса  
(1919 ф. гг. 15; 1940 ф. 25; 1948 ф. гг. 39).

г. Европа́мба́ши га́мми́нда а́хрди́лди—ахрди́лди коммуни́змиса  
(1923 ф. гг. 60).

д. а́хрди́лди борьба́з ევропа́мба́ши—ахрди́лди коммуни́змиса  
(1928 ф. гг. 16; 1933 ф. гг. 16).

Амбаза́рна́д, ქა́рთუ́л та́ржма́ннеди Ein Gespenst geht-in  
შესატყვი́сა́д мону́мუ́лди: „გა́мми́нда са́ши́шари а́хрди́лди“, „ა́хрди́лди да́дис“, „გა́мми́нда а́хрди́лди“, „ა́хрди́лди борьба́з“. Га́мми́нда та́м უმრავლესობაში 1919 წლიდან დატოვე-  
ბულია „ა́хрди́лди да́дис“—სიტყვა-სიტყვითი та́ржма́нна.

მთარგმნელი თუ თა́ржма́нის რედაქტორი ხშირად აღმოჩ-  
ნდება ხოლმე ისეთ მდგომარეობაში, როდესაც სხვისი თარ-  
გმანი არ მოსწონს და თვითონაც უკეთესი შესატყვისი ვერ  
გა́мми́нახავს, ასეთს პირობებში სხვისი ნამუშევარის დაწუნება  
უხამსობა იქნებოდა, თუმცა ახალი ვარიანტიც შეიძლება იქ-  
ნეს წამოყენებული. მართალია, ამბობენ „ა́хрди́лди да́дис“,  
მაგრამ ამბობენ ავრეთვე „ა́хрди́лди га́мми́нда“, „ა́хрди́лди და-  
ეხეტება“—უკანასკნელი ვარიანტები იქნებ ანგარიშგასაწევი იყო  
იმ მოსაზრებით, რომ ა́хрди́лди ისეთ ადგილებშიაც (ჩაკეტილ  
ოთახში, ციხე-სიმაგრეში) შეიძლება მოევლინოს, სადაც ვერ  
გა́мми́нდება ის, რაც დადის, რასაც გზა, გასასვლელი, შესა-  
სვლელი ადგილი ჭირდება;—ის უგზო-უკვლოდ და მოულოდ-  
ნელ ადგილებშიც დაეხეტება, ის უკვლებან შეიძლება გა́мми́нდეს,  
ე. ი. მას ვერ დაემალები. აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის  
ხელმისაწედომ რუსულ გა́мми́нда та́м მხოლოდ ე. ი. პოსეს  
თა́ржма́нშია „призрак ходит“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> 1906 წ. გამოც. გვ. 17.

ცნობილია, თუ რაოდენ ზედმიშვენითი სიზუსტით თარ-  
გმნიდნენ ლენინი და სტალინი სხვადასხვა ავტორთა და კერ-  
ძოდ მარქს—ენგელსის ნაწარმოებებიდან მოყვანილ ციტატებს.  
ამხანაგი ი. სტალინი, თავის შრომაში—„ანარქიზმი თუ  
სოციალიზმი?“, „კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან“ მო-  
ყვანილ ციტატს უკეთებს შენიშვნას: „ზოგიერთ ლეგალურ  
თარგმანში (იგულისხმება რუსული თარგმანები—პ. გ.) გამო-  
ტოვებულია რამდენიმე სიტყვა“<sup>1</sup>. იმავე 1907 წელს  
ვ. ლენინი ეხებოდა რა მარტოვის მიერ რუსულად თარგმნილ  
ენგელსის „ანტი-დიურინგს“ წერდა, რომ ეს არის „პირდაპირ  
ცუდი თარგმანი, შეცდომებით“ და თანაც სულ გამოტოვე-  
ბულ ადგილებსაც მიუთითებდა<sup>2</sup>. ასეთი უხეში შეცდომებით  
თარგმნილი „ანტი-დიურინგი“ გამოიცემოდა რუსულად თვით  
1936 წლამდე<sup>3</sup>. ლენინისა და სტალინის მიერ მოცემულია  
უაღრესად ზუსტი მეცნიერული თარგმანები მარქს—ენგელსის  
თხზულებათა იმ ადგილებისა, რომლებიც მათ ციტატების  
სახით მოყვავთ თავიანთ ნაწარმოებებში; მხოლოდ 1938 წლი-  
დან დაიწყეს შესაბამის ადგილთა შეტანა მარქს—ენგელსის  
თხზულებათა რუსულ გამოცემებში.

\* \*

7. უდავოა, რომ სხვადასხვა ხერხებს ემორჩილება თარგ-  
მნა მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურისა,—ცხადია,  
გარდა იმ საერთო ძირითადი პრინციპისა, რომ თარგმანი  
შინაარსობრივად მაქსიმალურად უახლოვდებოდეს ორიგი-  
ნალს, ხოლო იდეურად აბსოლუტურად არ განირჩეოდეს მის-  
გან. მაგრამ ამ მოხსოვნილების დაცვა თუ საკმარისია მხატ-  
ვრული ლიტერატურისათვის, შეიძლება არ აღმოჩნდეს საკრა-

<sup>1</sup> ი. სტალინი, თხზულებანი, I, 310.

<sup>2</sup> Ленин, Сочинения, X, 362.

<sup>3</sup> ამის შესახებ იხ. „Марксистско-Ленинская литература“, 1938 г., № 12, стр. 7—12; აგრეთვე „Под знаменем марксизма“, 1940 г., № 8, стр. 184—191.



რისი მეცნიერულისათვის. კიდევ მეტი. მეცნიერული ლოტუსი რატურის თარგმანში თრიგინალის შინაარსის დახლოებით. მა გადმოცემამ შეიძლება დაგვაცილოს ავტორის აზრებს.

\* \*

ჩვენში ჯერ კიდევ ნაკლებადაა განვითარებული შრომის დანაწილება მთარგმნელთა შორის. ერთი და იგივე პიროვნებება თარგმნის სრულიად სხვადასხვა დარგის (როგორც მხატვრულ ისე მეცნიერულ) თხზულების და არაიმვიათად თარგმნის სხვადასხვა ენიდან, მაგალითად, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ ორიგინალს. რა თქმა უნდა, ასეთს ვითარებაში ყოველთვის როდი მიიღება მახდეველობაში სათარგმნი ავტორისა და მთარგმნელის ერუდიცია, დიაპაზონი, შეხედულებანი, იდეოლოგია. ამასთანავე ეს გარემოება სრულია დაც არაა მეორეხარისხოვანი. შეიძლება მთარგმნელი ჩინებული მცოდნე იყოს როგორც ორიგინალის, ისე ქართული ენისა, თვით საგნის კარგი სპეციალისტიცეკი და მან მეცნიერული თხზულების თარგმანში „სულ უმნიშვნელო“, სტილისტურად თუ ტერმინოლოგიურად ნიუანსური ცელილების შეტანით სავსებით შეცვალოს ავტორის აზრები.

რუსულ საბჭოთა ლიტერატურაში ამ მხრივ დიდი და მისაბაძი წარმატებებია მოპოვებული. აქ მთარგმნელობითი შრომის დანაწილება იქამდეა მისული, რომ კერძოდ პროზაულ თხზულებათა თარგმნაშიც კი ცალცალკეა გამოყოფილი ნოველების, პიესების, რომანების მთარგმნელები, ყურადღება ექცევა სათარგმნი ავტორისა და მთარგმნელის შეხედულებებს, გემოვნებას, სტილს. არიან მთარგმნელები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ერთი რომელიმე უცხოელი მწერლის, მაგალითად შექსპირის თარგმნაზე მუშაობენ; ისინი სპეციალურად სწავლობენ ასეთ ავტორთა ეპოქას, ბიოგრაფიას და სხვ.

როგორც ცნობილია, კერძოდ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის თხზულებათა თარგმნის საქმე რუსეთში იქამდეა სპეციალიზებული, რომ ფილოსოფიურ, ეკონომიკურ თუ სხვ.



სასიათის თხზულებას თარგმნის მხოლოდ შესაბამისი დაზუსტებული სკეციალისტი-მთარგმნელი, რომელთანაც ამასთანავე კოოპერირებულ ნი არიან მეცნიერული ცოდნის სხვადასხვა დარგთა წარმომადგენლები. ეს აუცილებელია, რადგან როგორც ფრ. ენგელსი შენიშვნავს კ. მარქსს „თავისი საილუსტრაციო მასალა მოაქვს მეცნიერებათა ყველა სფეროდან“<sup>1</sup>.

არსებითად როგორც მსახიობი არჩევს თავისი ამჰლუს შესაბამის როლს, მთარგმნელმა ხელი უნდა მოქიდოს მხოლოდ თავისი ტემპერამენტის, ნიჭის, გონებრივი განვითარების, დიაპაზონის და საერთოდ ცნობიერების მარაგის შესაბამისი ტვირთის აწევას.

ცნობილია, თუ რაოდენ შეურაგებლობას იჩენდა ფრ. ენგელსი „ხელოსანი მთარგმნელების“ საქმიანობისაღმი<sup>2</sup>. კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, ვ. ლენინი, ი. სტალინი აკრიტიკებენ არასწორ თარგმანს და მიუთითებენ, თუ როგორ უნდა ითარგმნოს მოცუმული ტექსტი. მათვის არ არსებობს შესაბამისი სიტყვებისა და ტერმინების გამონახვის თუ შექმნის შეუძლებლობა.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თხზულებანი გენიალურია როგორც იდეური, შინაარსობრივი მხრივ, აგრეთვე მეცნიერული, პოლიტიკური პროზისა, პოლემიკისა და მეცნიერული და ორატორული სტილის თვალსაზრისით. ცხადია, ამ თხზულებათა თარგმნისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცევოდეს თარგმანის შინაარსობრივად აბსოლუტურ სიზუსტეს. ამასთანავე, ორიგინალის ენის ყველა გამომთქმელობითი საშუალებისა და მთელი ძლიერების გადმოღება მთარგმნელის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. მაგრამ სტილის გადმოღების მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ ამით სულ ოდნავადაც არ დაზარალდეს აზრი, შინაარსი

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, XVI, I, 230.

<sup>2</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, 1934, II, 347.

სათარგმნი ტექსტისა, ე. ი. აქ ყველაფერი დამოკიდებულია მთარგმნელის ენობრივ ქმედითუნარიანობასა და, მაშასადამე, ქართული ენის მთელი საგანძუროის, მისი უდიდესი მობილურობის მთელი აღმაფრუნით გამოყენებითობის უნარზე.

თუ, მაგალითად, კ. მარქსის შრომებში ცალკე ადგილების გაგება-გააზრება ძნელია, ცხადია, არა იმიტომ, თითქოს „მძიმე“ და „მშრალია“ მისი ენა; სინამდვილეში ეს სიმძიმე შედევგია არა ენობრივი ხასიათის მიზეზებისა, არამედ მის თხზულებათა შინაარსობლივი სირთულისა და სიღრმისა. კერძოდ მარქსისეული გრძელი წინადადებები საერთოდ გერმანული სინტაქსის თავისებურებიდან გამომდინარეობს, და ასეთს ვითარებაში ავტორს არ შეეძლო ფრიად რთულ სოციალურ მოვლენათა შინაარსის გამხსნელი თავისი აზრობრივად ერთიანი ხასიათის მსჯელობა დიდ სინტაქსურ მთელში არ მოექცია. აქ თარგმანშიც სინტაქსური ერთიანობა აუცილებელი პირობაა აზრობრივი ერთიანობისათვის და, მაშასადამე, ორიგინალთან ეკვივალენტურობისათვის.

უცხო ენის ფრაზეოლოგიურ თავისებურებათა ზუსტი გადმოლება შეუძლებელია, მაგრამ აუცილებელია გადმოლება შესაძლებელ სინტაქსური ფორმებისა, რომლებიც ორივე ენას ახასიათებს, თუმცა თარგმანი, ცხადია, ქართულად უნდა ისმოდეს. მთარგმნელი სათარგმნი მასალის კითხვის დროსაც ქართულად უნდა აზროვნებდეს. ამასონავე აზრის მიმართულების მხრივ უაღრესად ზუსტი თარგმანი შეიძლება სრულებითაც არ ემთხვეოდეს ორიგინალის სინტაქსურ ფორმებს. ქართულად თარგმნილი უცხოური ტექსტი ქართული ენის ლოგიკისა და ესთეტიკის ჩატრიებში უნდა იყოს გამართული.

ამისათვის კი აუცილებელია, რათა მთარგმნელები სისტემატურად კითხულობდნენ როგორც ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს<sup>1</sup>, ისე განსაკუთრებით აზალი და უახლესი

<sup>1</sup> დვ. ქართულ მწერლობაში დაცულ თანამედროვეობისათვის საჭირო სიტყვათა, ტერმინთა, გამოძებნის და აღდგენა-შემოღების მხრივ უკრძალებელი გასაკეთებელი. მაგ., აქამდე არ გვქონდა *Строители науки*-ს (ლიუ, ავთონი) ქართული ეკვივალენტი და გწერდით: სახლი (ქარხანა) რომელიც შენდება; ანდა: შენების პროცესში მყოფი სახლი.

მწერლების თხზულებებს და არა მხოლოდ მხატვრული, არა მედ აგრეთვე ქართულ ორიგინალურ მეცნიერულ შრომებს ლექსიკონებს, ხალხური პოეზიის, საერთოდ ხალხური სიტყვიერების კრებულებს, თვითონვე უშვალოდ უნდა აკვირდებოდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მანჯანა-ტრაქტორთა სადგურებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში, მშენებლობაზე გზებისა და ელექტროსალგურებისა და საერთოდ კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ჩვენი ხალხის ცხოვრების: წარმოებისა და გაცემლის, მოთხოვნილებისა და მოხმარების, დასვენებისა და გართობის პროცესებში აკვირდებოდნენ სახელდობრ მეტყველების მხრივ, თუ რა სიტყვებით გამოხატავს ხალხი თავისი საქმიანობისა და საერთოდ ცხოვრების ამა თუ იმ მომენტს.

როგორც ცნობილია, ყოველი დილი მწერალი, ლიტერატორი, იმის ცდაში იყო, რათა რაც შეიძლება მიახლოებოდა ხალხურ ენას, ე. ი. ეწერა ხალხისათვის გასაგები ენით მკაფიოდ, რაც, ცხადია, არ გამორიცხავს, პირიქით, მოიხოვს ენის ე. წ. ძარღვიანობას, ძლიერ გამომთქმელობითობას. მწერალს (ასევე მთარგმნელსაც) უნდა შეეძლოს ულევე-

ამავე დროს ჯერ კიდევ ისეთ ლიტერატურულ დოკუმენტში, როგორიცაა „უშეება მიზენისა ქართველთა მოქადაგისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“, მოთხოვნილია: „...სანადიროდ გასული მირიან მეფე „ბნელმან რამანშე მოიცავა“; მან „გულისხმაც ყო ბრალი ურწმუნობებისა თვისისა“ და „შემწეობა სთხოვა ნინოს ღმერთს და „ლოცავდა მას, რათა უჩევნოს მათ სახე ა დ შენებადი თა ტაძრისა ა მა რისა ა დ“ (იხ. თ. ეთრდანია, „ეროვნიკები...“, I, 36)... მეფემ მართლაც იხილა ტაძარი, რომელსაც ხუროთმოძღვარნი „აღმოკუეთდეს და აშენებდეს“ (იქვე).

ამგვარად, ცვიქერობ, შეეგვიძლია ვთქათ: *ст р о и т и с я დო—ა დ შ ე ნ ე ბ ა დ ი სახლი* (ძვ. ქართ.), ანუ *(მ) შ ე ნ ე ბ ა რ ე, შ ე ნ ე ბ ა დ ი სახლი*. შეად. მწლოიდარე, *(მი)მდინარე, მოლიმარი და მისთ.*

აქამდე „развивающимся капитализмом“-ის (Ленин, Сочинения, 1946, II, 415) შესატყვისად ვწერდით: „განვითარების გზაზე მდგომი კაპიტალიზმი“ (ლენინი, თხზულებანი, 1948 წ. II, 551), მაგრამ ამას, ცხადია, „განვითარებადი კაპიტალიზმი“ სკონა და სკობია არა მხოლოდ სიტყვისა და ადგილის ეკონომიკის, არამედ აზრობრივი სიზუსტის მხრივაც.

ლი ქართული ლექსიკიდან მოხერხებულად შეარჩიოს საჭირო,  
მაშასადამე, აზრის ზუსტად, ნათლად და გამოკვეთილად გა-  
მომხატველი სიტყვები.

თუმცა უოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს სა-  
ლაპარაკო ხალხური ენა და ლიტერატურული ენა ერთი და  
იგივე იყოს. კაცი, რომელიც სალაპარაკო ენით წერს მწერ-  
ლის, ლიტერატორის დონემდე ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულა.  
არ შეიძლება მწერლობის ენა სავსებით ემთხვეოდეს სალა-  
ლაპარაკოს, თუმცა ლიტერატურული ენა დღენიადაგ მდიდრ-  
დება ხალხურის საფუძველზე.

ამასთანავე, ამა თუ იმ დარგის სპეციალისტის მიერ  
თვით სალაპარაკო ქართულის, ან რუსული თუ უცხოური  
ტერმინის გაქართულების გზით შემოლებული ახალი ტერმი-  
ნის უარყოფა როდი შეიძლება იმ მოტივით, რომ იგი გაუ-  
გებარი იქნება ამა თუ იმ კოლმეურნისა ან ამა თუ იმ ქარხ-  
ნის მუშისათვის. დამკვირვებელი დაინახავს, რომ მრავალი  
სიტყვა აქვს კოლმეურნეს ან ქარხნის მუშას ისეთი, რომელიც  
ვაჟებარია, მაგალითად, მეცნიერი ბოტანიკოსის ან მეტა-  
ლურგისათვის.

ამოცანა უპირატესად მდგომარეობს არა  
იმაში, რომ წარმოებასა და მეცნიერების სხვა-  
დასხვა დარგში მომუშავე სპეციალისტებმა  
ურთმანეთისათვის გაუგებარი ტერმინები არ  
გამოიყენონ, არამედ იმაში, რომ მიღწეული იჭ-  
ნეს ზუსტ მეცნიერულ ცნებათა გამოსახატა-  
ვად შემოლებულ ტერმინთა უნიფიკაცია. უწი-  
ნარეს შესაბამის რუსულ-ქართულ ტერმინთა  
უნიფიკაციის სახითაც, და იმაში, რომ ამგვა-  
რად დადგენილ ტერმინთა აზრი მაქსიმალუ-  
რად შეესატყვისებოდეს თვით საგნისა თუ  
მოვლენის არსს.

ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში უდიდესი გასა-  
ქანი ეძლევა ადამიანთა მისწრაფებას სიზუსტისა და კუჭ-  
მარიტებისადმი. ამასთანავე უკანასკნელ ხანებში თვით ზუსტ

მეცნიერებათა და განსაკუთრებით სახალხომეცურნეობრივ  
მოვლენათა მეცნიერული აღრიცხვის განვითარებას არ შეეძლოდა.  
გავლენა არ მოეხდინა ჩვენს აზროვნებაზე, რომელშიაც სულ  
უფრო ბატონდება პუნქტუალობა, წესრიგი, სიზუსტე. თანა-  
მედროვე მკითხველი ვერ ითმენს აბრაკადაბრა მსჯელობას.  
მთარგმნელისა იქნება იგი თუ ავტორისა. საერთოდ სულიერ-  
მცურნეობაში ჩვენ იძღვნად მიერჩიეთ და მოვითხოვთ სიზუს-  
ტეს და წესრიგს, როგორადც გეგმური და მიზანდასახულია  
ჩვენი მატერიალური წარმოება, სახალხო მეურნეობა, მთე-  
ლი საზოგადოებრივი ცხოვრება.

ასეთ ვითარებაში, გასაგებია, როგორც საერთოდ ისე  
თარგმანშიაც უაღრესად დიდია ზუსტი მეცნიერული ტერმი-  
ნოლოგიის, ე. ი. ტერმინთა აღეკვატურობის მნიშვნელობა<sup>1</sup>.

რომელ ლიტერატურაშიაც ეს პირობა, სათანადო ზო-  
მით მიღწეული არაა —ძნელია, ხშირად შეუძლებელიც რთუ-  
ლი მეცნიერული ტექტების სისწორით თარგმნა. ამასთანავე  
მეცნიერულ თარგმანში ყოველთვის ყველაზე მთავარია ორი-  
გინალის შინაარსის სიზუსტით გადმოცემა. მეორე საკითხია,  
როგორ უნდა იქნეს შესრულებული ეს ამოცანა. ავტო-  
რის ლიტერატურული და მეცნიერული სტილის დაცვით, თუ  
მთარგმნელის სტილით, რაც ხშირად, როგორც იტყვიან,  
„საკუთარი სიტყვებით“ თარგმანის ხასიათს ლებულობს.

მეცნიერული თარგმანი, კერძოდ მარქსიზმ-ლენინიზმის  
კლასიკოსთა თხზულებების თარგმანი, ზედმიწევნილობით უნ-  
და იცავდეს ავტორის მსჯელობათა შინაარსობლივად ზუს-  
ტი გადმოცემის წესს და ამასთანავე საერთოდ თარგმანისა-  
თვის შესაძლებელი სისრულით, მთელის კოლორიტულობით,  
ტერმინოლოგიური ინვენტარით უნდა გადმოცემდეს ავტო-  
რის ლიტერატურულ-მეცნიერულ სტილს. ეს აუცილებელია,  
რამდენადც თვით ერთი მსოფლმხედველობის კონგენია-

<sup>1</sup> ზოგიერთი პრივატული მთარგმნელი ხშირად ეწინააღმდეგე-  
ბა ტერმინთა ამრიგი დაზუსტებისაკენ მიართულ ცდებს. გასაგებიც  
არის. უცხოური ტერმინის ზუსტი, ადგეკვატური შესატყვისით გადმოცემა  
აძნელებს მათს მუშაობას, ამცირებს ზრომის ნაყოფიერებას.

ლური ავტორები, რომელიც წერენ ერთდროულად და  
ერთსა და იმავე ენაზე, თარგმნის თვალსაზრისით, უმთავ-  
რესად ხომ სტილით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.  
არ გარეა ის მთარგმნელი, რომელიც თავისი ქართულის სი-  
ლარიბის გამო სულ სხვადასხვა სკოლის ავტორებსაც—კი  
ისე თარგმნის, რომ დაკვირვებული მკითხველი მას (მთარ-  
გმნელს) აღვიდად გამოიცნობს. მთარგმნელი საკუთარ სტილს  
რაც შეიძლება ნაკლებად უნდა მეტავრცებდეს. თუმცა ეს იმას  
როდი ნიშნავს, რომ შეუძლებლად მიგვაჩნდეს ლაპარაკი  
თარგმანის სტილზე. ცნობილია, რომ თარგმანში მთარგმნე-  
ლის სტილზე უძლიერესია თვით ეპოქის, სოციალისტური  
ცენობილების სტილი, რომელსაც ეკუთვნის მთარგმნელი.

\* \*

ამასთანავე ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია ანდაზებისა  
და მისთანათა ხელა ღითი გადმოქართულება, ე. ი. არა  
თარგმნა, არამედ რაიმე შესაბამისი ქართული ანდაზით გად-  
მოლება. მართალია, ანდაზა ხშირად იმდენად ნაციონალურ,  
სპეციფიკურ ხასიათს ატარებს, რომ ძნელია, ზოგჯერ შეუძ-  
ლებელიც, მისი ეკვივალენტის ქართულში შექმნა, მაგრამ მა-  
შინაც ძლიერ უნდა ვეცადოთ პირდაპირ ვთარგმნოთ იგი, თუ  
კი ეს მოსახერხებელია<sup>1</sup>. უხამსობად მიგვაჩნია, როდესაც რუ-  
სულიდან ან უცხო ენებიდან ქართულად თარგმნილ თხზულე-  
ბაში რუსი, ინგლისელი, გერმანელი, თუ ფრანგი წმინდა  
ქართულ ანდაზას ამბობს. დიდ მოაზრეთა და მწერალთა მიერ  
გამოყენებული თუნდაც წმინდა ნაციონალური ხასიათის ან-  
დაზაც ლირსეული თარგმანის მეოხებით, ინტერნაციონალურ  
ხასიათს ღებულობს. მეცნიერება, ლიტერატურა, საერთოდ  
შევდევითი სიტყვა,—ცნობათა გადაცემისა და კავშირგაბმულო-  
ბის თანამედროვე საშუალებათა პირობებში მაინც,—არა მხო-  
ლოდ აცნობს ერთ ერს მეორის კულტურას, არამედ აახ-  
ლოებს კიდევაც სხვადასხვა ერებს და ერთის სპეციფიკური  
თქმები და ანდაზები მეორისთვისაც სათანადო ზომით ხელ-

<sup>1</sup> იხ. К. Чуковский, „Высокое искусство“, 1941, № 65—72.

թուաթվածոմի դա ցանցեցի եղեծա; շամօսու զերպյո წարմոռի-  
թեզծան թեզուան ու, հասաւ սածոլոռ անցարութիւն օնքընալուն  
կուլուրան ցանցուածա.

Մրոմանի „պրոֆիլի ենցուան“, Յ. լենին մուշաց յե-  
ցուանու սությունի: „...При Марксе я играл вторую скрипку“<sup>1</sup>.  
Ես ագուլո լընինու տեխնուածա հոգորու քայլ, ույ օնալ  
յարտուլ ցամուրեմանու այս տարցենուու: „մարյան գրու մը  
մշորյ ագուլո մըքորամ“<sup>2</sup>.

Եսա նախաքարտու օ. դ. ծըյրուսաժմո Այրուուսա (1884 թ.),  
սաժաւ յենցուան օլնութեազ, հոմ մարյան սուրութելութիւն „Я  
играл вторую скрипку,—и думаю, что делал свое дело  
довольно сносно. Я рад был, что у меня такая велико-  
лепная первая скрипка, как Маркс“<sup>3</sup>.

Իզեն զցոյիրուածա, հոմ չեմու մուշանուու յարտուլո  
տարցման ցամանալուածուալ ցամուրեման յենցուանու սությու-  
նու անրս դա, նոյս տարցման տցալսանուուսու, ոյյություն  
ոյնենուածա սուրուա-սությունու ցամուրեծա: „մարյան գրու մը  
մշորյ ցուունու ցայրացու“,—րուաւ գաւուլո ոյնենուածա  
ցամոնատյամու անրու դա ամստանաց սեցարուցա մըշումլու-  
թու ոյնենա յենցուանու մոմցունու ցրանու (մարյան հոգորու  
ձորցելո ցուունու Մյեսանց) յարտուլաւ տարցման.

Օլսանութեազ, հոմ լընինու տեխնուածա սեց և լուացուն  
յենենց Մյեսարութելու տարցման մըքու յս ցրանա սուրուա-սութ-  
յունուածա տարցմենուու: Սյր.: При Марксе я грав другу скри-  
пку<sup>4</sup>; ծըլորուս.: При Марксе я іграу, другую скрипку<sup>5</sup>.

<sup>1</sup> Ленин, Сочинения, II, 1946, 12.

<sup>2</sup> Ը թ բ ա ն ո, տեխնուածան, II, 1948, 14.

<sup>3</sup> Маркс и Энгельс, Сочинения, XXVII, 415.

<sup>4</sup> В. Ленин, Творы, II, переклад в четвертого російського видавництва скваленій комісію ЦК КП(б)У.

<sup>5</sup> Ленин, Творы, II 1949, 12. հոգորու յարտուլուն ույ ծըլորու-  
թելու, լուացուն, ձոլունու դա սեց. անու ցամուրեմըն այցերու, հոմ: տար-  
ցմենուու մշորտք հոյս ցուլու ցամուրեմուան; յարտուլու ցամուրեման կո այցերու:  
„ցամուրեմա մշորտք“,—ոց ցուլուն ույ հոյս. ցամուրեմա դա առա յարտուլու,  
ցամուրեմա անցարունու յս մշորյ յարտուլու ցամուրեմա.

Землени.: Przy Marksie gromadnie drugie skrzypce<sup>1</sup>.  Сибирько-

тад, ლატვიურ ენაზედაც: Marks laikā es spēlēja otro vi-  
joli<sup>2</sup>. შესაბამისი ადგილი „ფრიდრიხ ენგელსის“ სოჭერ  
გამოცემაშიაც სიტყვა-სიტყვითაა თარგმნილი: უმაღამი მათ  
სკ სრკლური გრამატიკას ცნ ნავაკის ც.

ჩვენ მიერ შემოწმებული ენათაგან იგი მხოლოდ აზერ-  
ბაიჯანულზე თარგმნილი თავისუფლად: Марксин яնинла мэн  
икинчи рол ойнайырдын<sup>3</sup>—шаджысис დროს მე მეორე როლს  
ვთამაშობდი.

„პირველ ვიოლინო“-ს (შეად. он у нас в учреждении первая скрипка) როგორც გამოთქმას, შეუძლია იარსებოს ქართულადაც, ისე როგორც იგი (იტალიურიდან გავრცელე-  
ბული) იარსებობს გერმ., რუს., ინგ. და სხვ. ენებში. ასთა-  
ნავე ენგელსის წერილიდან ხსენებული ადგილის („მეორე  
ვიოლინო“) სიტყვა-სიტყვითი გადმოტანით მივიღებთ ფუნ-  
ქციონალურადაც ზუსტ თარგმანს; რაც, თუ იგი კარგადაა  
შესრულებული, ამდიურებს ქართულს,—რითაც მეითხველის  
ქარმოდგენაში ჩნდება ახალი, თავისებური აზრთაწყობა, რაც  
აძლიერებს ორიგინალის სპეციფიკურობათა წთაბეჭდილებას.

\* \*

8. თანამედროვე ქართულში გაბატონებული ზოგიერთი  
ეკონომიკური ტერმინი თავისი ენობრივი ფორმით და შინაარ-  
სით არ შეესარყვისება, ან სუსტად არ გამოხატავს იმ რუ-  
სულ და უცხოურ ტერმინებს, რომელთა ეკვრვალენტებად  
ისინი იხმარებიან. ასეთ ქართულ ტერმინთა რიცხვი სამწუ-  
ხაროდ საქმიოდ ბევრია და ისინი ხშირად გაუგებრობას იწ-  
ვავენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მით უფრო აუცილებელია აქ  
მეცრა უნიფიკაციის გატარება, რაც უფრო სწრაფად ვითარ-

<sup>1</sup> Lenin, Dzela, Warszawa, 1950, II, 13.

<sup>2</sup> V. Lenins, Raksti, Rigā, 1948, II. (Tulkots no ceturtā isde-  
vuma).

<sup>3</sup> ვ. ლ. ლენინ, სრკლური, 1943, სრკლური, II, 62 15.

<sup>4</sup> В. И. Ленин, Әсрәрләри, 1947, Баки, II. 13.

დღება ქართული ეკონომიკური მეცნიერება, რასაც არ ვჰა-  
ტიება ჩამორჩებოდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება-  
ბის მაღალ ტემპებს.

ამასთანავე, როდესაც მეცნიერული ტერმინოლოგიის  
უნიფიკაციაზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს ის გარემოე-  
ბა, რომ ტერმინი მეცნიერების მოცემულ დარგში, ყო-  
ველთვის უნდა ნიშნავდეს ერთი გარეპული, მტკიცედ განსაზღვრული აზრის, ცნების გამომ-  
ხატველ სიტყვას:—მაშინ როდესაც სალაპარაკო და სა-  
ერთოდ სალიტერატურო ენაში, კერძოდ მხატვრულ პროზა-  
ში, პოეზიაში შეიძლება, და ხშირად საჭიროც არის, ერთი  
სიტყვა რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობით იწმარებოდეს  
და აზრს კი კონტექსტში ამტლავნებდეს; ანდა ერთი და იმავე  
აზრის, მოვლენის, საგნის გამოსახატავად რამდენიმე სიტყვა  
არსებობდეს.

ლენინი პირველ რიგში აყენებს ტერმინის აზრო-  
ბრივ სიზუსტეს და არა მისი გამოთქმის სიად-  
ვილეს: „...ბ-ნ იუვაკოვის „გეგშის“ დასიხასიათებლად კი-  
ლევ უფრო რთული ტერმინის ხმარება გვიხდება. ჩვენ გვიხ-  
დება იმ გეგმას ვუწოდოთ — ბატონყმურ-ბიურ ოკრა-  
ტიულ-ბურუუაზიულ-სოციალისტური ექსპერიმენ-  
ტი. საქმიოდ უშნო, ოთხსართულიანი ტერმინია, მაგრამ რას  
იშამთ? თვით გეგმაც ხომ უშნოა: სამაგიეროდ ეს ტერმინი  
ზუსტად გაღმოგვცემს ბ-ნ იუვაკოვის „უტოპიის“ ყველა  
დამახასიათებელ თვისებას<sup>1</sup>“. ამასთანავე ლენინი მიუ-  
თითებს მეურნეობრივი ოაოსნობისა და მოვლენების მოკლედ  
და გასაგებად აღწერისა და ახსნისათვის ეკონომიკური  
ენით<sup>2</sup> ლაპარაკის უპირატესობაზე.

ჩვენ აქ, მაგალითისათვის, შევვიძლია შევჩერდეთ შხო-  
ლოდ რამდენიმე დასაზუსტებელ ქართულ ეკონომიკურ ტერ-  
მინზე, რათა ნათელი გავხადოთ ამ მიმართულებით მუშაობის

<sup>1</sup> ლენინი, თხზულებანი II, 1948, 595.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 632.

საჭიროება; ამ საქმის წარმატებით გადაჭრაში, ცხადია, მონაწილეობა უნდა მიიღონ ეკონომიკის დარგში მომუშავე სპეციალისტების რაც შეიძლება მეტმა ძალებმა.


როგორც აქ ისე საერთოდაც განსახილველი ქართული ეკონომიკური ტერმინების დაზუსტებისათვის ამოსავალ საწყისად მიღებული გვაქვს რუსული ტერმინები, და მაშინაც-კი, როდესაც ტერმინი, თავისთვად წარმოადგენს არა ქართულსა და რუსულს (თუმცა ენობრივად, ცხადია, წარმოდგენილია უკანასკნელთა ფორმაში), არამედ უცხოურ სიტყვას. ასეთი ხერხი ავირჩიეთ იმის გამოც, რომ თანამედროვე რუსული პოლიტიკურ-ეკონომიკური ტერმინოლოგია თავისი შემუშავებულობისა და, მაშასადამე, სიზუსტის მხრივ უდაოდ ჭინ უსწრებს მსოფლიოს ყველა სხვა ენაზე არსებულ შესაბამის ტერმინოლოგიას.

დავიწყოთ ტერმინებით: ეკოномика და ეკონомია; მიუხედავად იმისა, რომ ორივე წარმოდგება ბერძნულ Oiconomia-დან (მეურნეობის გამგებლობა<sup>1</sup>) მეცნიერებაში დიდი ხანია რაც მოხდა მათი დიფერენციაცია და წარმოადგენებ სულ სხვადასხვა აზრის მატარებელ ტერმინებს.

Экономика-დან წარმოებულ ეкономическая (жизнь), экономический (обзор), ეкономическое (учение) და მისთანათა ქართულ შესატყვისად იმთავითვე დადგინდა. ეკონომიკური და მერმე საეკონომიო ცხოვრება, მიმოხილვა, მოძლევება. ხოლო მიმდინარე საუკუნის 30-იანი წლებიდან უკვე განმტკიცდა: ეკონომიკური (ცხოვრება და ა. შ.).

ამასთანავე ეкономный крестьянин, экономное расходование материалов, экономичный человек და მისთანათა

<sup>1</sup> რომლის შესატყვისადაც ქ. ქართულში და თვით მე-19 ს. პირველ ათეულ წლებშიაც იხმარებოდა ი კონომიკა. ხუროთმოძღვრების (სარამდარობის) საკითხებზე მსჯელობისას მოურავი ითანეს მოახსენებს: „...ეს იკონომიკისათვის უქმებით, რომ ბევრი ქვა და კირი აღარ მოუნდებოდა“ (ი. ბატონიშვილი, „კალმასობა“, I, 85—86; იხ. აგრ. იქვე, ტ. II, 30, 142—143).

  
შესატყვისად დამკვიდრებულია: მომჭირნე გლეხი, მასალათა  
მომჭირნეობით ხარჯვა, მომჭირნე კაცი (აღამიანი). აქ მომ-  
ჭირნეობას ზოგან სცვლის კიდევ დამზოგველობა, ყაირათი-  
ანობა.

აღსანიშნავია, რომ რუს. საბჭოთა მეცნიერულ ლიტე-  
რატურაში უკვე ცერსად შეხვდებით ეкономიკურ და ეконо-  
მიკური -ს ამგვარ „თავისუფალ“ შესატყვისებს, თუმცა მათი  
მიახლოებითი და ზოგიერთი მნიშვნელობის კიდევ ზუსტი  
შესატყვისებით რუსული ქართულზე ნაკლებ მდიდარი რო-  
დია (მაგ. სმელივი, რაცელივი, ხიარისტური, ხერ-  
ჯლივი).

მაგრამ გარდა იმისა, რომ ამგვარი შესატყვისები, მა-  
შინაც-კი როდესაც ზოგიერთ კონტექსტში აზრს დაახ-  
ლოებით სწორადაც გამოხატავენ, მიუღებელია არა მხოლოდ  
იმიტომ, რომ სენებულ ტერმინს მეცნიერულ ლიტერატურა-  
ში ინტერნაციონალური ხასიათი აქვს მოპოვებული, და ნა-  
ციონალური შესატყვისები შეიძლება წარმოადგენდნენ მხო-  
ლოდ განმარტებებს და არა ეკვივალენტებს, არამედ  
იმიტომაც, რომ რთულ და ზუსტ მეცნიერულ მსჯელობაში  
ტერმინთა კნებების უნიფიკაციას ხშირად გადამწყვეტი მნიშ-  
ვნელობა აქვს აზრთა მწყობრად გადმოცემისათვის.

ცნობილია, რომ როგორც საზოგადოებათმეცნიერების  
დარგში ისე საერთოდაც ახალი ტერმინებითა და გამოთქმე-  
ბით ქართული ენის გამდიდრების მხრივ უდიდესი მნიშვნე-  
ლობა აქვს ამხანაგ სტალინის ადრინდელ ნაშროვებს, რომ-  
ლებიც დაწერილია ქართულ ენაზე. ახალ ცნებებთან ერთად  
ამხანაგ ი. სტალინის შემოქონდა ახალი სიტყვები და ტერმი-  
ნები. იგი გარკვეული მეცნიერული გაგებით ხმარობდა რიგ  
ძეველ სიტყვას. მაგალითად, ი. სტალინს, შრომაში „გაკვრით  
პარტიულ უთანხმოებაზე“ (1905 წ.), ნ. ქორდანიასთან, ამ  
„ძალად-მარქსისტთან“, კამათშა მოჰყავს უკანასკნელის სიტ-  
ყვები: „...პოლიტიკა უკუნომიოთ — აი ახალი მიმართულება“,  
და გარდა იმისა რომ ამხელს საერთოდ ნ. ქორდანიას მსჯე-

лопбис უკუღმართობას, უსწორებს მას თვით ტერმინსაც, მაგრაც ნ. ქორდანიას უწერია „...უეკონომიკა...“, ამხანავ სტალინს ფრჩხილებში ჩაუსვამს: „უნდა იყოს: უეკონომიკოლ“<sup>1</sup>.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები იძლევიან ნიმუშს იმისა, რომ ყოველი საყოველთაოდ გაერცელებული ტერმინი ყოველთვის უცვლელად უნდა მეორდებოდეს. ფრ. ენგელსი ამათრახებდა ჯონ ბროგდაუსს, „კაპიტალის“ ინგლისურად მთარგმნელს, რომელიც ერთსა და იმავე გერმანულ ტერმინს სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ინგლისური შესატყვისით თარგმნიდა, და მოითხოვდა, რომ ერთი ენიდან მეორეშე ტერმინის გადაღება ყოველთვის უნდა ხდებოდეს ერთი და იმავე გამოთქმით.

მიუხედავად ამისა ქართულში ეкономичныи-ს თარგმნიან ხან მომვირნეობად და ხანაც დამზოგველობად. მაგალითად, ეкономическая работа-ს<sup>2</sup> შესატყვისად წერენ მომვირნეობით მუშაობას, მაშინ, როდესაც რუსული ტექსტის აზრი სრულიად არ გულისხმობს მუშაობის მომვირნეობას.

ამასთანავე ეкономный და ეкономичный-ს ზოგიერთი მნიშვნელობის ქართული სიტყვით დაახლოებითი გადმოცემაც-კი შეუძლებელია. მაგალითად.

1. „В контейнерах—удобных и экономичных больших ящиках... торгующие организации получают и отправляют большое количество грузов“<sup>3</sup>.

2. „Новые железнодорожные линии... подойдут к платформам Сталинградской и Каховской гидроэлектростанции. Они обеспечат более удобную и экономическую доставку грузов“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ი. სტალინი, თხზულებანი, I, 91.

<sup>2</sup> „Известия“ 1950 г., № 54.

<sup>3</sup> „Заря Востока“, 1950 г., № 14, стр. 4.

<sup>4</sup> „Литературная газета“, 1950, № 94.

3. ვაშ. „Землязда“-ს მოწინავეში ვკითხულობის... Неч...  
всех хозяйственных органов ведут настоящую борьбу за  
экономное использование материальных ресурсов... больше  
выпускать высококачественной продукции при эко-  
номном расходовании сырья, материалов, топлива, элек-  
троэнергии!“<sup>1</sup><sup>2</sup>

4. „Молоты для забивки (погружения) шпунтов а  
также для проходки разведочных скважин не экономичны“... „Выбраторы экономичны, сравнительно лег-  
ки, не нуждаются в специальном оборудовании и кра-  
нах большой грузоподъемности“<sup>3</sup>.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მაგალითები ჩეენ განგებ  
მოვაკევს ყველაზე უფრო პოპულარული და მასობრივი ლი-  
ტერატურიდან.

კონტეინერი (ინგლ. container) დიდი ყუთია. ვიბრატორი (სიტუციდან ვიბრაცია) საბჭოთა საეკიილისტების მიერ  
გამოვლილი ძხალი მექანიზმია შპუნტების და სხვ. მიწაში ჩა-  
საყვანად; ვიბრატორი ურთსთან შედარებით ფრიად აღიდებს  
შრომის მწარმოებლურობას.

Экономичный и экономный-ს აქამდე გაბატონებული  
ქართული შესატყვისის პირობებში გაძნელებულია ამ ტექს-  
ტების ზუსტი ქართული თარგმანის მოცემა, რამდენადაც  
მეტისმეტი შეუსაბამობა გამოვა, რომ ყუთს (კონტეინერს)  
ან ვიბრატორს მივაწეროთ მომჭირნეობის, ყაირათიანობისა  
ანდა დამსოგელობის უნარი. აქ (ისე როგორც სხვაგან)  
ეкономичный...-ს ქართულ ად თარგმნი შეიძლება მსოლოდ  
ეკონომიური კონტეინერის, ვიბრატორთა ეკონომიურო-  
ბის სახით.

მაგრამ სწორედ აქ იშევება სიძნელე. ქართულში დღეს  
ტერმინი „ეკონომიური“ იხმარება სულ სხვა აზრის მატარე-

<sup>1</sup> „Правда“, 1950, № 140.

<sup>2</sup> Е. Павлов, „Выбратор вместо молота“ (журн. „Наука и  
жизнь“, 1950 г. № 1, стр. 33—34).

ბელი экономический-ს შესატყვისად. და, ამგვარად, ეкономическая жизньь, наука, политика და სხ. შესატყვისად ამბობენ: ეკონომიკური ცხოვრება, მეცნიერება, პოლიტიკა და სხვ. ამასთანავე, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეкономический წარმოებულია არა экономия-დან, არამედ ეкономика-დან. ხოლო ეкономика-კი, მსგავსად ანალოგიური ფორმის სხვა სიტყვებისა, როგორიცაა: политика, логика, физика, эстетика, диалектика, техника, педагогика, психика, механика, лингвистика, ботаника, математика, топонимика და მისთანანი ქართულში გადმოიღება: ეკონომიკა, პოლიტიკა, ლოგიკა, ფიზიკა, ესთეტიკა, დიალექტიკა, ტექნიკა, პედაგოგიკა, ფიქცია, მექანიკა, ლინგვისტიკა, ბორინიკა, მათემატიკა, ტოპონიმიკა.

ამ სიტყვათა ბოლოსართი ორიოდე ათეული წლის წინათ იყო -ური, რაც ზოგიერთს (თუმცა იშვიათად) ამჟამადაც აქვს შენარჩუნებული. მაგალათად, იწერებოდა და ითქმოდა: ესთეტიკური, დიალექტიკური, პედაგოგიკური, ფიქციური, ლინგვისტიკური და ა. შ.

უკანასკნელ ხანებში მათ სუფიქსად დადგინდა -კური და მივიღეთ: ესთეტიკური, დიალექტიკური, პედაგოგიკური, ფიქციური, ლინგვისტიკური და ა. შ.

მაგრამ გაძნელდა ამ მიღწევის გავრცელება ეკონო-მიკა-დან წარმოებულ ტერმინებზე და დღესაც ნაცვლად ეკონომიკური ცხოვრებისა, წერენ ეკონომიურ ცხოვრებას, რაც ნამდვილად შეესატყვისება ეкономная жизньь-ს (ე. ი. განმარტ.: მომჭირნეობით ცხოვრებას) და არა ეкономическая жизньь-ს. გაძნელდა იმიტომ, რომ განმტკიცებული რეტინის მეოხებით ეკონომიკურის ადგილი დაქავებული აქვს ეკონომიურს, ხოლო უკანასკნელი თავისი ადგილიდან განდევნილია ისეთი „შესატყვისით“ როგორიცაა მომჭირნეობა და სხვა.

აქ უნდა აღინიშნოს ამ მხრივ ერთი უახლესი მოვლენა. ამჟამად პრესაში დიდძალი მასალა იბეჭდება მოწვევლო-



ბაში მასალის ეკონომიურად ხარჯვისა და კომპლექსური მიმღების ნომის საკითხებზე. აქ საგანერო მასალათა შორის მთარგმნელებს საქმე აქცით ისეთ ტექსტებთან, სადაც ეკონომიკა-სათვის ქართული შესატყვისის გამონახვა ფრიად აშკარა უხერხულობას ბადებს. ამის მეოხებით ქართულ განხეობში განვირდა ტერმინები: „საწვავის ეკონომია”<sup>1</sup>, „კომპლექსური ეკონომია”<sup>2</sup>, „მასალების ეკონომია”<sup>3</sup> და სხვ.<sup>4</sup> აქედან-კი ეკონომიკურ-ს შესატყვისად ეკონომიური შემოღებას, უბრალო თანამიმღევრობის დაცვის პირობებში, დიდი სიძნელე არ ხვდება წინ,— თუ არა დაბრკოლება განმტკიცებული რუტინის მხრივ, რაც დროა უკვე საბოლოოდ იქნეს გადალაშული. ამგვარად: „ეკონомическое использование материалов”, „экономическое расходование сырья” და მისთანანი უნდა ითარგმნოს: მასალათა ეკონომიური გამოყენება, ნედლეულის ეკონომიური და ხარჯვა.

ცხადია, რომ ეკონომიკა-ს ქართულ შესატყვისად, ყოველგვარ კონტექსტში უნდა დადგინდეს ეკონომია; ხოლო ეკონომიკურ და ეკონომიკურ-სათვისკი—ეკონომიური. ამ სიტყვის საერთოდ ქართული ეკვივალენტით შეცვლა არსებითად ისევე შეუძლებელია, როგორც თარგმნა სიტყვებისა: ეკონომიკა, პოლიტიკა, პარტია, კრიტიკა, კომიტეტი, ქუჩნალი, რევოლუცია და მათგან წარმოებული: ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვათა, რომელთაც ერთ დროს, როგორც ზემოთ დავინახეთ, ქართულად თარგმნიდნენ კიდევაც, მაგრამ საბოლოოდ ყველა ამგვართა ქართული შესატყვისები უარყოფილ იქნა. სწორედ ასევე უარყოფილ უნდა იქნეს ეკონომიას (ეკონომიკა) და ეკონომიურის (ეკონომიკურ, ეკონომიკურ-სათვისკი).

<sup>1</sup> „კომუნისტი”, 1950 წ. № 90, გვ. 1.

<sup>2</sup> იქვე, № 98.

<sup>3</sup> იქვე, № 101.

<sup>4</sup> აქამდე აქ ეკონომიის ნაცვლად, როგორც წესი, იწერებოდა: მომცირნეობა.



ჩვენ ვფიქრობთ, ანალოგიურად უნდა მოვიქცეთ შეკველა სხვა შემთხვევაშიც, როდესაც საქმე ეხება ისეთ ტერ-მინებს, რომელთაც უკვე მოპოვებული აქვთ ინტერნაციონალური ხასიათი,—რამდენიდაც ასეთი სიტყვების ზუსტი ქარ-თული ეკვივალენტით შეცვლა შეუძლებელია.

თუ რაოდენ უხერხულობას ბადებს ამგვარი სიტყვების თარგმნისაღმი ჩვენში გავრცელებული მიღრეკილება, საკმა-რისია მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. 1951 წ. მარტში გამოქვეყ-ნდა საკდეს-ის ცნობა, პეკინიდან, ჩინეთის ფინანსურ-ეკონო-მიკური სისტემის რეორგანიზაციის შესახებ, რომ ჩინეთის სახელმწიფო ადმინისტრაციულმა საბჭომ გამოიტანა დადგე-ნილება „об унификации финансовых и экономических ведомств Китайской народной республики“<sup>1</sup>. ქართულ თარ-გმანში იმ ტექსტისა უკვე ლაპარაკია ხსენებულ უწყებათა არა უნიფიკაციის, არამედ გაერთიანების შესახებ: უნიფიкация თარგმნილია სიტყვით გაერთიანება.

ჯერ ერთი, მეცნიერულ ლექსიკონში უნიფიკაცია ნიშ-ნაკავ არა გაერთიანებას, არამედ ერთიან ნორმასა თუ ფორ-მაზე, საერთოდ ერთგვაროვნობაზე გადასვლას (გადაყვანას). ნამდვილად საკდესის ხსენებული ცნობის ციტირებულ წინა-დადებაში ნაგულისხმევია უწყებათა არა გაერთიანება (რაზე-დაც ქვემოთ ცალკეა ლაპარაკი), არამედ მთელს სახელმწი-ფოში ერთგვაროვან საგადასახადო, საბაჟო და სხვ. სისტე-მაზე გადასვლა, ნაცვლად აქამდე სხვადასხვა პროვინციაში არსებული სხვადასხეუაგვარი ფინანსურ-ეკონომიკური სისტე-მისა.

ეს გაუგებრობა მაგალითია იმისა, თუ რამდენად არა-მიზანშეწონილია ინტერნაციონალური ტერმინების არა ეკვი-ვალენტური ქართული შესატყვისებით თარგმნა.

საერთოდ არ უნდა გვეთინოდეს უცხო სიტყვათა შემო-ლებისა, როდესაც ეს სიტყვის ფუნქციონალური მნიშვნელო-

<sup>1</sup> „Правда“ 1950, № 66. стр. 4.

ბის თვალსაზრისით აუცილებელია, სხვა ნაციათა კულტურული მიღწევების გაზიარება-გადმოღებისათვის საჭიროა.

უკანასკნელ ხანებში რიგი ქართული სიტყვა შევიდა რუსულში, რამაც მხოლოდ გაამდიდრა ეს უკანასკნელი, ისევე როგორც რუსული სიტყვები ამდიდრებდნენ და ამდირებენ ქართულს.

უბრალო მაგალითი. რუსულში განმტკაცდა სხვათა შორის ქართული მუსიკალური ინსტრუმენტის ქართული სახელი ჩონგური. რუს. „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ უკანასკამოცემაში ვკითხულობთ: Чонгури—грузинский народный струнный музыкальный инструмент<sup>1</sup>, აბა რა შესაბამისობა იქნებოდა, რომ რუს. ლიტერატურაში ჩონგურის შესატყვისად სკრიპკა ან გიტარა მიეღოთ; იგივე ითქმის სიტყვებზე: ხიზანი, ზოურავი და სხვ. შესახებ.

\* \*

9. მეორე მაგალითისათვის ჩვენ ავიღეთ ისეთი ეკონომიკური ტერმინი, რომელიც შესაბამისი შესატყვისებით ითარების სხვადასხვა ენებზე<sup>2</sup>.

Производство და მიხაბ, თუ მასთან დაკავშირებით წარმოებული: производитель; производственник; производство средств производства; производительность труда, станка, завода; производительная сила труда; производительные расходы; производительный капитал; производительные силы; производственный рабочий; производственный опыт; производственная практика; производственные отношения.

Производство-ს ძირითადი ქართული შესატყვისია წარმოება. ზემოხსენებული ტერმინების მართებულ შესატყვისად მიღებული გვაქვს: წარმოების საშუალებათა წარმოე-

<sup>1</sup> Словарь иностранных слов, III изд., 1949, М., 728.

<sup>2</sup> ჩვენ სიტყვებს ვიხილავთ მხოლოდ როგორც ეკონომიკურ ტერმინებს.



ბა; მწარმოებელი; მეწარმოებე (წარმოების მუშაკი); შრომის დაზგის, ქარხნის მწარმოებლურობა; შრომის მწარმოებლური ძალა; მწარმოებლური ხარჯები; მწარმოებლური კპიტალი; მწარმოებლური ძალები; წარმოებრივი მუშა; წარმოებრივი გამოცდილება, პრაქტიკა; წარმოებრივი (წარმოებითი) ურთიერთობანი.

როგორც აღვნიშნე, „ეკონომიკის ტერმინოლოგიაში“ (1947 წ.) ჩვენ ასეთი შესატყვისები გვაქვს მიღებული; მაგრამ საერთოდ ცხოვრებაში იგი ჯერჯერობით მხოლოდ უმნიშვნელო ზომით ტარდება.

ამგვარ ადეკვატურ შესატყვისთა დადგენისას ჩვენთვის ამოსავალ საჭყისს წარმოადგენდა, უწინარეს ყოვლისა, ის გარემოება, რომ, როგორც წესი, ყოველ განვითარებულ ენაში, რომელიც იმდენად შემუშავებულია, რომ საშუალებას იძლევა თანამედროვე როგორც მეცნიერულ აზრთა ზუსტად გადმოცემისას, ყოველი ტერმინის ფუძე, ამ შემთხვევაში წარმოების ფუძე, აუცილებლად შენარჩუნებულიყო ამ სიტყვიდან წარმოებულ ყველა ტერმინში.

ამ პრინციპის, როგორც აუცილებელი პირობის, დაცვის საჭიროებაზე თვალნათლივ მიუთითებს производство-დან წარმოებულ ყველა თანამედროვე რუსულ ტერმინში ამ სიტყვის ფუძის დაცვა; და აგრეთვე ანალოგიური მდგომარეობა როგორც (გერმანულ produktion), ისე ინგლისურ (production), ფრანგულ (production) და სხვა ენებში, და განსაკუთრებით-კი ის გარემოება, რომ სხვარიგად, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, პირდაპირ შეუძლებელია მეცნიერული აზრის სიტყვებში ზუსტად ჩამოყალიბება და, მაშასადამე, მისი ასევე ზუსტად სხვისთვის გახიარება.

აქ ძირითადია ორი მომენტი. პირველია თავსართ სა-საკითხი, ხოლო მეორე: производительность труда-ს ტრა-დიციული შესატყვისი: შრომის ნაყოფიერება.

პირველ მომენტზე ჩვენ თუმცა სპეციალურად გვექნება მსჯელობა სხვა დროს; მაგრამ მოკლედ მას ქავმოთაც შევ-ხებით. ჯერ შევჩერდეთ მეორეზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, производительность труда в  
შესატყვისად ურთმის ნაყოფიერება ქართულში განვითარდა  
მტკიცდა ჯერ კიდევ 1860-იანი წლებიდან. ამეამად შესატყვისას ეს ფორმა გაძარონებულია.

იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად აუცილებელია და-  
სახელებული რუსული ტერმინისათვის ამგვარი თარგმანის  
მოცილება და მისი სხვა, ზესტი, შესატყვისით შეცვლა,  
მე ავიღე ეს ტერმინი სხვადასხვა კონტექსტში ისეთი თხზუ-  
ლებიდან, როგორიცაა კ. მარქსის „კაპიტალი“; სახელ-  
ლობრ „კაპიტალის“ ქართული და რუსული თარგმანებიდან  
და სავირო ტერმინები შევამოწმე აგრეთვე როგორც გერმა-  
ნულთან, ე. ი. ორიგინალთან, ისე აუცილებლობის შემთხვე-  
ვაში, მის ინგლისურ და ფრანგულ თარგმანებთან.

ინტერესს მოქლებული არ იქნება აქ აღინიშნოს, რომ  
1903 წელს, როდესაც „კაპიტალის“ ქართულად თარგმნის  
საკითხი პირებულად დაისვა იგი საბოლოოდ უარყოფითად იქ-  
ნა გადაჭრილი; როდესაც ამ საქმის ინიციატორთა ჯგუფმა-  
ფ. გოგიჩაიშვილს მიმართა, უკანასკნელს განუცხადებია: „ამის-  
თანა დიდ ექონომიურ თხზულებას ქართულად ვერ ვთარ-  
გმნით, საჭირო სამეცნიერო ტერმინოლოგიის უქონლობის  
გამო“<sup>1</sup>. 1930 წელს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების პი-  
რობებში უზრუნველყოფილი იყო შესაძლებლობა „კაპიტალის“  
ქართულად გამოცემისა, მისი თარგმნის საქმე, ცხილია, დიდ  
სიძნელეს წარმოადგენდა. რედაქცია აღინიშნავდა, რომ „საქ-  
მეს აძხელებს არა მარტო ტერმინების უქონლობა, არამედ—  
უფრო მეტად ის, რომ ქართული ენა ჯერ შესაფერისად ვერ-  
დამუშავებულა, ვერ მოქნილა მეცნიერულ-ფილოსოფიური  
აზრების გაღმოლები“. აა და შეთვისებისთვის<sup>2</sup>“.

არსებითად „კაპიტალის“ ქართულ თარგმანში 20 წლის  
წინათაც შეტი წარმატება შეიძლებოდა მიღწეულიყო, რომ  
მთარგმნელ-რედაქტორებს შეძლებოდათ ქართული სიტყვის-

<sup>1</sup> ფ. გოგიჩაიშვილის მოგონებიდან.

<sup>2</sup> „კაპიტალი“, I, გვ. XIV.

შთელი სიმღიდოის გაბედული და შემოქმედებითი გამოყენება და თვით სათარიგმნი თხზულების ტექსტის გენიალური აზრებისათვის ყველგან თავისი სიმახვილისა და სიმკეთობის შენარჩუნება. მათ ამ თხზულების თვით სახელწოდებაც კი „შეარბილეს“<sup>1</sup>.

რედაქტია ეტყობა ცდილობდა Produktions-იდან (პროა-  
ვიდესტვო-დან) წარმოებული ყველა ტერმინის ქართული შე-  
სატყვისი ერთი ძირიდან—წარმოებიდან—გამოეყვანა, მაგრამ  
ეს აუცილებელი პირობა მან მხოლოდ სასურველობად  
მიიჩნია და საქმე იმით დაამთავრა, რომ მოიბოლიშა მკითხ-  
ველის წინაშე, რომ ეს სასურველობა ვერ შეასრულა და  
რომ ამის გამო, „მთლიანობა დაირღვა და ტერმინებმაც აჭ-  
რელებული სახე მიიღო“<sup>2</sup>.

ჩვენ თავის დროზე („ეკონომიკის ტერმინოლოგია“-ში,  
1947 წ.) შევეცადეთ ტერმინთა ამ „აჭრელებულობის“ თავი-  
დან აცილება. ქვემოთ წარმოვადგენთ ზოგიერთ მასალას  
ჩვენი ტერმინების დასაბუთებისათვის, რისი მოცემა თვით  
ტერმინოლოგიაში არ შეიძლებოდა.

ვინაიდან, როგორც უკვე აღნიშნეთ, ქართულ ეკონო-  
ნომიკურ ტერმინთა დაზუსტებისათვის ამოსავად საწყისად  
მიღებული გვაქვს რუსული ტერმინები, ამიტომ ჩვენ შედარე-  
ბებს ვიწყებთ „კაპიტალის“ 1949 წ. რუსული გამოცემის  
ტექსტით.

სიმოკლისათვის აქ, ცხადია, არ შევუდგებით აბზაცებისა  
და კ. მარქსის გრძელ წინადაღებათა მთლიან ამოწერას. მო-

<sup>1</sup> „კაპიტალის“ ქართულ თარგმნის უკანასკნელ რუს. გამოცემასთან და-  
თრიგინალთან მხოლოდ ტერმინოლოგიური შედარების შედეგად, ქართულში  
ჩვენ იღნიშნული გვაქვს რიგი ისეთი უსწორობანი, რომლებიც სავსებით  
სცელიან, ამასინჯებენ, ავტორის აზრებს. I ტომის რედაქციას „კაპიტა-  
ლის“, ასე ვთქვათ, „შერძილება“ თვით სათაურიდანვე დაუშენია როგორც  
ცნობილია. კ. მარქსის ამ გენიალური თხზულების სრული სახელწო-  
დებაა: „Das Kapital, kritik der Politischen ökonomie“. ქართულ გამოცემა  
აწერია მხოლოდ პირველი სიტყვა; „კაპიტალი“.

<sup>2</sup> იქვე, გვ. XV.

զուցանտ կը հմռ թէրմինոլոգիակա դամականաւութել պահանջման շեմս և ա շմբերսաւ մեռլու ա տար թէրմինյնքն էն. ամստաման պահանջման շահելու մուշտութեա ՝ “կամուրալուս” զարդարն էն, հատ դասն թէրմինյեւլ մյուտեզաւ թէրմուս ամ ամոնաթէրմա սերու տար կոնդիլս թի զարնօմա-թէրմովիթեա.

յ. մարշն թէրմ: „... рабочее время изменяется с каждым изменением производительной силы труда. Производительная сила труда определяется многосложными обстоятельствами...<sup>1</sup>“.

Производительная сила труда մին արուցանձուս Produktiv kraft der Arbeit-ս զգացալընթի. մուցանօլու լութարուս յարտաւու տարշմանա: „... ա շահելու լութարու—ձ. ց.) օլուլդեա թի տամու նայուցու հրեծու սուզաւ օլուլունցաստան յրտաւ. թի տամու նայուցու հրեծա մհացաւ լցարու գարեմուցու զանուսանցընընդա:“

մցարու, производительная сила труда „կամուրալմո“, հրացարաւ թէրմ, ուտարգմնեա թի տամու նայուցու հրեծա և; տարտիւ արա սուզաւ լութարուս; ու զարեմուցա, հրամ ամ թէրմինու սուզաւ լութարուս յրտու և մուզ յարտաւու թէրմանցուստ յրտու և մուզ մտարգմնելու և հրդայլուս մոյր տարգմնա զըր մտերեաւ, յրտ-յրտու նունանա օմուսա, հրամ այ ՝ թի տամու նայուցու հրեծա“ թէրմսամա.

և յունու մուցահինա այզ ալցնունու, հրամ „կամուրալուս“ հրացաւ տարշմանմու և սոյնութագու տանամեքրուց հրացաւ մելունուրու տարշմանցնմու յս ձրոնցուու—յրտու և մուզ սուզաւ լութարու թէրմինու սուզաւ յրտու և մուզ հրացաւ լութարու թէրմինու տարշմնուս—սապոցալտագու արու զանմըկուրեալու.

հրացարաւ զտիչու, производительная сила труда „կամուրալմո“ նոցան տարշմնուս մցուրցենուրագու. և սուզաւ լութարու թէրմինութագու: թի տամու սապարմու մալու<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Капитал, I, 46, յարաւու իցնու. ան. յունց թէրմանցուստու լցար-դաւու 47, 52—53, 321—323, 325—326, 339—340, 609—610, 614—613.

<sup>2</sup> „կամուրալու“, I, 8, 270—271, 274—275, 458.

<sup>3</sup> „կամուրալու“, I, 13—14, 287, 549, 551—552 և սեց.

არის კიდევ იმ ხასიათის ერთი, რიგით მესამე მომარტინი  
შენტი, რაც არა ნაკლებ უხერხულობათა წყაროს წაომოად.  
ვენს.

„კაპიტალის“ II ტომში ვკითხულობთ: „...საზოგადოების ცენტრი, რომელიც პირდაპირ მონაწილეობას არ იღებენ რეპროდუქციაში, იქნება ეს მონაწილეობა შრო. მით თუ უშრომოდ, შეუძლიათ მიიღონ წლიური საქონლური პროდუქტიდან თავიანთი წილი, მაშასადამე, თავიანთი მოხმა. რების საშუალებები, პირველ რიგში მხოლოდ იმ კლასების ხელიდან, რომელთაც პირველ რიგში ხვდება პროდუქტი, ე. ა. პროდუქტიული მუშების (produktiven Arbeitern<sup>1</sup>, მრეწველი კაპიტალისტების და მიწათმფლობელების ხელიდან ამ ახრით მათ-მათი შემოსავალი მატერიალურად მომდინარეობს შრომის ხელფასიდან (პროდუქტიული მუშებისაგან—der produktiven Arbeiter), მოგებიდან და რენტიდან და ამიტომ წარმოადგენს გამომდინარე (производственный) შემოსავალს ამ თავდაპირველ შემოსავალთა პირისპირ. მაგრამ, მეორე მხრივ, ამ გამომდინარე შემოსავალთ მათი მიმღებნი იღებენ თავიანთისაზოგადოებრივი ფუნქციების გამო, როგორც მეფეები, ხუცები, პროფესორები, მედავები, ჯარისკაცები და სხვ<sup>2</sup>...“

ამ ტექსტის პროდუქტიული მუშების მკვეთრენტია რუს. производительных рабочих, გერმ. der produktiven Arbeiter. მაგრამ ქართულ თარგმანში თანმიმდევრობის დაცვა რომ მოხახერხებელი ყოფილიყო, აქ პროდუქტიული მუშის ადგილის უნდა ვთქვათ ნაყოფიერი მუშა; მაგრამ თუ შესაძლებელია თქმა ნაყოფიერი მუშა შესაბამობა იქნებოდა, და მთარგმნელიც იძულებული შეიქნა ეთქვა პროდუქტიული მუშა.

<sup>1</sup> „Das Kapital“, В II, 1933, 374.

„Капитал“, II, Сочин. Маркса и Энгельса, т. XVIII, 1933 г.  
стр. 400.

<sup>2</sup> „კაპიტალი“ II, 327–8.

მაგრამ აქ, მეცნიერული ტერმინოლოგიის თვალსაზრი-  
სით, კიდევ ახალი შეუსაბამობა იჩენს თავს. ქართულშიც და  
რუსულშიც კარგა ხანია რაც გაერცელებულია: პროდუქ-  
ტიული პირუტყვი (უპირისმ. მუშა პირუტყვს), პროდუქ-  
ტიული მეცნიერებობა (продуктивный скот, продуктивное  
животноводство) და სხვ. პროდუქტიული (produktivus) გუ-  
ლისხმობს ნაყოფის, ნაყოფის მომცემს.

წინათ რუსულშიც იხმარებოდა პრодуктивный рабо-  
чий და მისთ.<sup>1</sup>, მაგრამ უკანასკნელ ხანებში უკელგან გამატო-  
ნებულია მრავალი მისამართი რაც მისთ. ჩვენ მიგვა-  
ჩინია, რომ ქართულშიაც ასევე აუცილებელია ტერმინი „პრო-  
დუქტიული მეცნა“ შეიცვალოს ტერმინით: მწარმოებლუ-  
რი მუშა.

ტერმინი შრომის ნაყოფიერება როგორც „კაპი-  
ტალში“<sup>2</sup>, ისე საერთოდ თანამედროვე ქართულში გამატო-  
ნებულია აგრეთვე მრავალი მისამართი რაც შესატყვი-  
სადაც. ამისავე შესაბამისად: მრავალი მისამართი რაც შესაბამისად გამატოებულია ნაყოფიერი შრომა.

საკითხის შემდგომი გარკვევის ინტერესი მოითხოვს აქ  
გავისენთ, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებობს შემ  
დეგი ცნებები-ტერმინები; მრავალი მისამართი რაც შესაბამისად გამატოებულია ნაყოფიერი შრომა.

„კაპიტალის“ II ტომში ქ. მარქსი წერს: „...с обще-  
ственной точки зрения, они (издержки обращения—П. Г.)  
могут быть просто издержками, непроизводитель-  
ным расходованием живого или овеществленного  
труда, но именно, как раз, благодаря этому могут дей-  
ствовать таким образом, что создают стоимость для ин-

<sup>1</sup> იხ. მაგ. „კაპიტალის“ ავ. რუს. გამოცემები.

<sup>2</sup> „კაპიტალი“, I, გვ. 161, 294, 457, 568 და სხვ.

дивидуальных капиталистов, образуют дополнение к продажной цене их товара<sup>1</sup>.

Трудом<sup>2</sup> производительный труд — это труда, производимый рабочими и служащий для удовлетворения потребностей рабочих и их семей. Трудом<sup>3</sup> непроизводительные расходы (unproduktive verausgabung<sup>4</sup>), т.е. затраты на производство ненужных товаров и услуг, не имеющих прямого отношения к производству товаров и услуг для рабочих и их семей. Трудом<sup>5</sup> производительный труд — это труда, производимый рабочими и служащий для удовлетворения потребностей рабочих и их семей. Трудом<sup>6</sup> непроизводительные расходы (unproduktive verausgabung<sup>7</sup>), т.е. затраты на производство ненужных товаров и услуг, не имеющих прямого отношения к производству товаров и услуг для рабочих и их семей.

„Городской труд“ — это труд, производимый рабочими и служащий для удовлетворения потребностей рабочих и их семей. Трудом<sup>8</sup> производительный труд — это труда, производимый рабочими и служащий для удовлетворения потребностей рабочих и их семей. Трудом<sup>9</sup> непроизводительные расходы (затраты) — это труд, производимый рабочими и служащий для удовлетворения потребностей рабочих и их семей. Трудом<sup>10</sup> производительный труд — это труда, производимый рабочими и служащий для удовлетворения потребностей рабочих и их семей. Трудом<sup>11</sup> непроизводительные расходы (затраты) — это труд, производимый рабочими и служащий для удовлетворения потребностей рабочих и их семей.

Служебный труд — это труд, производимый рабочими и служащий для удовлетворения потребностей рабочих и их семей. Трудом<sup>12</sup> производительный труд — это труда, производимый рабочими и служащий для удовлетворения потребностей рабочих и их семей. Трудом<sup>13</sup> непроизводительные расходы (затраты) — это труд, производимый рабочими и служащий для удовлетворения потребностей рабочих и их семей.

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, XVIII, 1939, 140.

<sup>2</sup> „Das Kapital“, B. II, 129, 131.

<sup>3</sup> „Городской труд“ — это труд, производимый рабочими и служащий для удовлетворения потребностей рабочих и их семей. Трудом<sup>4</sup> производительный труд — это труда, производимый рабочими и служащий для удовлетворения потребностей рабочих и их семей. Трудом<sup>5</sup> непроизводительные расходы (затраты) — это труд, производимый рабочими и служащий для удовлетворения потребностей рабочих и их семей.

<sup>4</sup> „Капитал“, I, 188, 207.

<sup>5</sup> „Городской труд“, I, 142, 160.

<sup>6</sup> „Капитал“, I, 44.

<sup>7</sup> „Das Kapital“, I, 5—6.

<sup>8</sup> „Городской труд“, I, 6.

<sup>9</sup> Городской труд — это труд, производимый рабочими и служащий для удовлетворения потребностей рабочих и их семей. Трудом<sup>10</sup> производительный труд — это труда, производимый рабочими и служащий для удовлетворения потребностей рабочих и их семей. Трудом<sup>11</sup> непроизводительные расходы (затраты) — это труд, производимый рабочими и служащий для удовлетворения потребностей рабочих и их семей.

ამგვარად, производительный труд, производительность труда, производительная сила труда и т. д. შესატუვისიც: ნაყოფიერი შრომა, შრომის ნაყოფიერება და სხვ. მისთანები განსაკუთრებით დიდ შეუსაბამობას აწყდება, როდესაც მსჯელობის საგნად ხდება ამ ექონომიკურ მოვლენათა მეორე მხარე (непроизводительный и т. д.) უკანასკნელმა გარემოებიმ, როგორც დავინახეთ, ერთი და იმავე რუსულ და უცხოურ ტერმინისათვის ქართულში გამოიწვია მეორე, მესამე და მეოთხე შესატუვისთა გაჩენა,—რაც არ შეიძლება იმთავითვე არ გადაქცეულიყო გაუგებრობათა წყაროდ.

მაგრამ არსებობს კიდევ სხვა, ყველა ზეპონენებულზე არა ნაკლებ საფუძვლიანი და საერთოდ კიდევ თავისთავადაც გადამჟღვვეობი გარემოება, რამაც შრომის ნაყოფიერებას, ასე ვთქვათ, დაგილი უნდა გადაანაცვლებინოს.

